

თავი 9 კონსულტაციის პროცესი



სარჩევი

9	კონსულტაციის პროცესი.....	9-1
9.1	შესავალი	9-1
9.2	ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეთა წარსული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში	9-1
9.3	საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა	9-2
9.4	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია.....	9-3
9.4.1	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები	9-3
9.4.2	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	9-5
9.4.3	საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები	9-7
9.4.4	სამეცნიერო საზოგადოება	9-8
9.4.5	მედია	9-8
9.4.6	დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები.....	9-8
9.4.7	SCPX-ს პროექტის პარტნიორები	9-8
9.4.8	BP-ს პერსონალი	9-8
9.5	კონსულტაციები ESIA-ს სამუშაოთა მოცულობის ინფორმაციის მისაწოდებლად.....	9-9
9.5.1	შესავალი	9-9
9.5.2	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ოფიციალური წარმომადგენლები	9-9
9.5.3	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	9-9
9.5.4	არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო საზოგადოება	9-17
9.5.5	კონსულტაციები შესაძლო კუმულაციურ პროექტებთან დაკავშირებით	9-17
9.6	კონსულტაციის შედეგები.....	9-17
9.6.1	ცენტრალური, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.....	9-17
9.6.2	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	9-19
9.6.3	საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები/სამეცნიერო საზოგადოება.....	9-34
9.7	კონსულტაციები ESIA-ს ანგარიშის პროექტის შესახებ	9-35
9.7.1	ინფორმაციის გავრცელება.....	9-35
9.7.2	საჯარო განხილვის გამოცხადება	9-37
9.7.3	გამოხმაურების მექანიზმი.....	9-37
9.7.4	კონსულტაციები საჯარო განხილვის პროცესში - საჯარო შეხვედრები.....	9-38
9.8	კონსულტაციების შედეგების მეთვალყურეობა	9-39
9.9	ESIA-ს შემდგომი კონსულტაციები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.....	9-39

ცხრილები

ცხრილი 9-1:	რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა.....	9-4
ცხრილი 9-2:	PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი.....	9-14
ცხრილი 9-3:	საკონსულტაციო შეხვედრები დამატებით PAC-ებში	9-16
ცხრილი 9-4:	ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების რეზიუმე	9-18

ცხრილი 9-5:	ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები.....	9-18
ცხრილი 9-6:	PAC-ების მიერ წამოჭრილი ძირითადი საკითხების შეჯამება	9-21
ცხრილი 9-7:	CSG1 და CSG2 ბანაკის მშენებლობა - დადებითი და უარყოფითი ასპექტები მოსახლეობის თვალსაზრისით.....	9-32
ცხრილი 9-8:	PRMS სამშენებლო ბანაკი - დადებითი და უარყოფითი ასპექტები	9-34
ცხრილი 9-9:	NGO/სამეცნიერო საზოგადოების სემინარზე წამოჭრილი, ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების ჩამონათვალი	9-34
ცხრილი 9-10:	ESIA საჯარო განხილვის განცხადებები	9-37
ცხრილი 9-11:	ESIA საჯარო განხილვის შეხვედრები.....	9-39

სურათები

სურათი 9-1:	კონსულტაცია PAC-თან ხაიშში	9-7
სურათი 9-2:	პარალელური მილსადენი - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა	9-28
სურათი 9-3:	პარალელური მილსადენი - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებლის შესახებ	9-28
სურათი 9-4:	პარალელური მილსადენი - PAC-ების ძირითადი პრობლემები	9-29
სურათი 9-5:	CSG1 და CSG2 - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა (საკომპრესორო სადგური)	9-30
სურათი 9-6:	CSG1 და CSG2 - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებლის შესახებ (საკომპრესორო სადგური).....	9-30
სურათი 9-7:	CSG1 და CSG2 - PAC-ების ძირითადი პრობლემები (საკომპრესორო სადგური).....	9-31
სურათი 9-8:	CSG1 და CSG2 - PAC-ების მოსაზრება სამშენებლო ბანაკის შესახებ.....	9-31
სურათი 9-9:	PRMS - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური)	9-32
სურათი 9-10:	PRMS - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებლის შესახებ (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური).....	9-32
სურათი 9-11:	PRMS – PAC-ების ძირითადი პრობლემები (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური)	9-33
სურათი 9-12:	PRMS - PAC-ების ძირითადი პრობლემები (სამშენებლო ბანაკი).....	9-34
სურათი 9-13:	ESIA საჯარო განხილვის შეხვედრა (წალკა)	9-38

9 კონსულტაციის პროცესი

9.1 შესავალი

ESIA-ს პროცესისათვის ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება, რასაც თან ახლავს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდნენ ცალკეულ პირები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომელთა ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს შემოთავაზებული პროექტი, და ვინც შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე პროექტის მდებარეობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ მის დამტკიცებამდე და დამტკიცების პროცესში. საჯარო განხილვა და კონსულტაციები აუცილებელია ESIA-ს მთელი პროცესის განმავლობაში და ხშირად პროექტის დამტკიცების შემდგომ, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების მსვლელობისას.

ამ თავში განხილულია SCPX-ის პროექტის ESIA-სთვის ჩატარებული დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესი (საჯარო განხილვა და კონსულტაციები). ESIA-ს კონსულტაციები ჩატარდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის შესაბამისად (PCDP), რომელიც მომზადდა ESIA-ს პროცესის დასაწყისში (იხ. ქვეთავი 9.3).

სურათზე 3-1 მოცემულია ეტაპები, რომელთა მსვლელობისას ადგილი აქვს სხვადასხვა ურთიერთქმედებებს დაინტერესებულ მხარეებსა და ESIA-ს პროცესს შორის. დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის გათვალისწინებით (იხ. ქვეთავი 9.4), დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობა და მათი მონაწილეობის ინტენსივობა იცვლება ESIA-ს ფაზის/აქტივობის მიხედვით. ამასთანავე, კონსულტაციების უმრავლესობა ტარდება ESIA-ს სამუშაოს მოცულობის განსაზღვრისა და საჯარო განხილვის სტადიებზე.

9.2 ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეთა წარსული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში

BP-მ წარსულში განახორციელა ESIA-სთან დაკავშირებული კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მილსადენის პროექტებისთვის, როგორებიცაა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენები (და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა); ანალოგიური კონსულტაციები ჩატარდა სხვა პროექტების ფარგლებშიც, როგორებიცაა სუფსის ტერმინალი, არა-საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი რუსთავთან ახლოს და WREP-ის სექციური ცვლილების პროექტი. აქედან გამომდინარე, BP-ს კარგად ჩამოყალიბებული ურთიერთობები აქვს მრავალ ძირითად დაინტერესებულ მხარესთან.

აღნიშნული მილსადენების პროექტების ESIA-ს შესრულების პროცესში განხორციელდა ინტენსიური კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, როგორებიცაა ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტის გასწვრივ არსებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობა. SCPX-ს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროგრამა დაეფუძნა იმ გამოცდილებას, რომელიც მიღებული იყო WREP-ის, BTC და SCP-ის, და WREP-ის სექციური ცვლილების პროექტების განხორციელებისას; გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უკვე არსებული ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის პროცესში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

SCPX-ს პროექტის ESIA-ს სამუშაოები დაიწყო 2010 წლის მეოთხე კვარტალში. საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის საწყისი სამუშაო ვარიანტი მომზადდა 2010

წელს და მისი შემდგომი სრულყოფა განხორციელდა 2011 წლის 1-ლ კვარტალში. ESIA-ს პროცესში შემდგომი ინტენსიური კონსულტაციები ჩატარდა 2011 წლის განმავლობაში და PCDP-ზე დაფუძნებით, განხორციელდა SCPX-ის ESIA-ს სამუშაოთა მოცულობის შემდგომი სრულყოფა. კონსულტაციები გაგრძელდა 2012 წელს, იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო ESIA-ს ანგარიშის სამუშაო ვარიანტი საჯარო განხილვისთვის. საჯარო განხილვასთან დაკავშირებული კონსულტაციების შედეგები გამოყენებული იქნა ESIA-ს ანგარიშის საბოლოო ვარიანტის მოსამზადებლად.

9.3 საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა

SCP-ს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც მოცემულია თავში 6 „პოლიტიკა, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო“, SCPX პროექტის PCDP-ს სტრუქტურა და შინაარსი ისე განისაზღვრა, რომ იგი შესაბამისი ყოფილიყო შემდეგთან:

- ბუნებრივი აირის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, რომელიც ზოგადად მიესადაგება ანალოგიურ პროექტებს
- მსოფლიო ბანკის ჯგუფის სტანდარტები და პრაქტიკა ESIA კონსულტაციებთან მიმართებაში, მაგალითად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ეფექტურობის სტანდარტი 1 „ბუნებრივი და სოციალური გარემოს რისკებისა და ზემოქმედებების შეფასებისა და მართვის“¹ შესახებ (თანდართული სახელმძღვანელო შენიშვნის ჩათვლით)
- ევროკავშირის დირექტივა 85/337/EEC (ცვლილებებით) „ზოგიერთი საჯარო და კერძო პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან მიმართებაში და საჯარო განხილვისა და კონსულტაციების დამტკიცებული მოთხოვნები

დამატებით, PCDP შესაბამისობაშია BP-ს პრაქტიკასთან და რეკომენდაციებთან, რომლებიც ეხება ESIA-სთან დაკავშირებული კონსულტაციების ჩატარებას.

PCDP-ში მოცემულია დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალი, რომლებთანაც ჩატარდა კონსულტაციები, განხორციელებული და შემოთავაზებული განსახორციელებელი საკონსულტაციო საქმიანობა და მათი კავშირი ESIA-ს პროცესის უმთავრეს ეტაპებთან. PCDP-ს მიზნებია უზრუნველყოს:

- ადექვატური და დროული ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის
- დაინტერესებული მხარეებისათვის საკმარისი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მათი მოსაზრებებისა და შენიშვნების გამოსატყეველად
- აღნიშნული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინება ESIA-ს სამუშაოების განსაზღვრისას და საპროექტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

¹ დამატებით, მხედველობაში იქნა მიღებული რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია IFC-ს 2006 წლის დოკუმენტში „გამოცდილების გაკვეთილები: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის პროექტი“, ნომერი 2, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი; IFC. ასევე, გათვალისწინებული იქნა IFC-ს სხვა დოკუმენტი - „საჯარო განხილვისა და კონსულტაციის გეგმის მომზადების სახელმძღვანელო“, ბუნებრივი და სოციალური გარემოს განხილვის პროცედურის სახელმძღვანელო შენიშვნა F, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენს „დაარქივებულ“ დოკუმენტს.

PCDP შემუშავებული იქნა როგორც მოქნილი, სამუშაო და „ცოცხალი“ დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ESIA-ს სამუშაოებში, HGA-ს მოთხოვნების შესაბამისად.

საწყის ეტაპზე, ESIA-ს სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოების დაწყებამდე, მომზადდა PCDP-ს სამუშაო ვარიანტი, რომელიც საფუძვლად დაედო კონსულტაციებს; აღნიშნული კონსულტაციების მიზანი იყო ESIA-ს სამუშაოთა მოცულობის შემდგომი განსაზღვრა. PCDP-ს ამჟამინდელი ვერსია წარმოდგენილია დანართში C1.

9.4 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია

2010 წლის 12-13 ოქტომბერს თბილისში მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ SCPX-ს პროექტის მთავარი პერსონალი და ბი-პი საქართველოს ექსპლუატაციის ჯგუფი. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ძირითად დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა, სოციალურად დაუცველ ჯგუფთა ჩათვლით; უმთავრეს საკითხთა იდენტიფიკაცია; ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან წარსული და ამჟამინდელი პროექტების ფარგლებში და BTC/SCP-სა და BP-ს მიმდინარე საექსპლუატაციო სამუშაოების გამოცდილების გაზიარება. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა შეიმუშავეს საწყისი ეტაპის კონსულტაციების სტრატეგია და გრაფიკი, და განსაზღვრეს ფუნქციები და პასუხისმგებლობები საკონსულტაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

ამ სამუშაოს შედეგად შედგა ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების სია:

- ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო უწყებები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები, არსებითად დასახლებები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობენ გარკვეულ მანძილზე SCPX-ის კომპონენტებისგან (როგორებიცაა მილსადენი, საკომპრესორო სადგურები, მისასვლელი გზები და სამშენებლო ბანაკები)
- საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება
- მედია (ბეჭდვითი, რადიო და ინტერნეტი)
- დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები
- SCPX პროექტის პარტნიორები
- BP-ს პერსონალი.

9.4.1 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები

ქვემოთ ნაჩვენებია საქართველოს მთავრობის უმთავრესი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც დაყოფილია უწყებებად, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ ESIA-ს ანგარიშის დამტკიცების პროცესში, და ასევე ქვედანაყოფებად, რომელთაც აქვთ აღიარებული ინტერესი SCPX-ს პროექტში. ასევე გათვალისწინებული იყვნენ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილი სახელმწიფო დაინტერესებული მხარეები, PCDP-ის დანართის C1 შესაბამისად.

1. საქართველოს მთავრობის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ ESIA-ს ანგარიშის დამტკიცების პროცესში:
 - საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) - მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში კასპიის ნავთობის/გაზის ტრანსპორტირების პროექტებში. GOGC ოფიციალურად მონაწილეობს ESIA-ს ანგარიშის დამტკიცების პროცესში HGA-ს მიხედვით
 - გარემოს დაცვის სამინისტრო – გარემოს დაცვის სამინისტრო განიხილავს ESIA-ს ანგარიშის სამუშაო ვარიანტს („ეკოლოგიური ექსპერტიზა“). გარემოს დაცვის სამინისტროში გაერთიანებულია ორი უმთავრესი ქვედანაყოფი: გარემოს ეროვნული სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო.
2. საქართველოს მთავრობის დაინტერესებული მხარეები, რომელთაც აქვთ აღიარებული ინტერესი SCPX-ს პროექტში:
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 - ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო: მის შემადგენლობაშია ბუნებრივი რესურსების სააგენტო (რომელშიც შედის ტყის მართვის დეპარტამენტი), ეკოლოგიური მონიტორინგის ინსპექცია და გარემოს კვლევის დეპარტამენტი
 - სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ირიგაციის დეპარტამენტი)
 - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (რომლის შემადგენლობაშია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო)
 - ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 - შინაგან საქმეთა სამინისტრო
 - რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (გზების დეპარტამენტი; მდინარეთა დაცვის დეპარტამენტი)
 - იუსტიციის სამინისტრო; მის შემადგენლობაშია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ადგილობრივი მთავრობის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ იმ მხარეების, მუნიციპალიტეტების და ქალაქების თვითმმართველობების დანიშნული თანამდებობის პირები და არჩეული წარმომადგენლები, რომელთა ტერიტორიებზეც განხორციელდება SCPX-ს პროექტის სამუშაოები. არსებული სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-1).

ცხრილი 9-1: რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა

სახელისუფლებო უწყება	არჩეული წარმომადგენლები	დანიშნული წარმომადგენლები
სახელმწიფო	პრეზიდენტი პარლამენტი	პრემიერ-მინისტრი, მინისტრები
რეგიონები		რეგიონის გუბერნატორი
თვითმმართველი ქალაქები	ქალაქის საკრებულო	მერი
მუნიციპალიტეტები	საკანონმდებლო ორგანო - საკრებულო ხელმძღვანელი-საკრებულოს	აღმასრულებელი საბჭო – გამგეობა: წევრები ინიშნებიან გამგებლის მიერ

სახელისუფლებო უწყება	არჩეული წარმომადგენლები	დანიშნული წარმომადგენლები
	თავმჯდომარე	თავმჯდომარე – გამგებელი: ინიშნება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმებით
დასახლებული პუნქტები *	საკრებულოს არჩევითი წარმომადგენლები	რწმუნებული - ინიშნება გამგებლის ან მერის მიერ
ტერიტორიული ორგანოები *	საკრებულოს არჩევითი წარმომადგენლები	რწმუნებული - ინიშნება გამგებლის ან მერის მიერ

* თვითმართველობის არმქონე ქალაქები ერთიანდებიან მუნიციპალიტეტებში და ისინი განიხილება ტერიტორიული ორგანოს ექვივალენტურად. ტერიტორიული ორგანო შეიძლება მოიცავდეს ერთ სოფელს, თუმცა ჩვეულებრივ მასში რამდენიმე სოფელია გაერთიანებული.

ამის საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან განიხილება შემდეგი ადგილობრივი სამთავრობო უწყებები:

- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციები
- გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები
- ქალაქ რუსთავის თვითმართველობის ორგანო.

ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში დაინტერესებულ მხარეებს განეკუთვნებიან დანიშნული მაღალი თანამდებობის პირები:

- პოლიციისა და სახანძრო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსები
- მელიორაციისა და ირიგაციის რეგიონალური სამსახურების უფროსები

9.4.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

დღეისათვის სხვადასხვა ზომის ორმოცდახუთი დასახლება განისაზღვრა, როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება (PAC)². PAC-ი განისაზღვრება (BTC/SCP ESIA-ს განახლებული კრიტერიუმების მიხედვით) როგორც დასახლებული პუნქტი, რომელიც მდებარეობს შემდეგი საზღვრების ფარგლებში ან მისი მინიმუმ ერთი საცხოვრებელი ნაგებობა მოქცეულია შემდეგ საზღვრებში:

- მილსადენი (ჩამკეტი სარქველებისა და მილსადენის დგუშის სადგურის ჩათვლით): მილსადენის გასხვისების დერეფნის ცენტრალური ხაზიდან 2კმ მანძილზე ორივე მხარეს, ანუ 4კმ სიგანის ზონა
- სამშენებლო ბანაკები, საკომპრესორო სადგურები და წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური: 5კმ რადიუსის ზონა ცენტრალური წერტილიდან
- მიწების დალაგებისა და დასაწყობების უბნები: 2კმ რადიუსის ზონა ცენტრალური წერტილიდან
- მისასვლელი გზები (ახალი ან განახლებული; დროებითი ან მუდმივმოქმედი): 300მ ორივე მხარეს, ანუ 600მ სიგანის ზონა.

² რაოდენობა შესწორებულია 2013 წლის მარტში. საჯარო განხილვის ფაზის დროს მილსადენის ბანაკის ადგილმდებარეობის შეცვლის და CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის განლაგების გამო დამატებული იქნა კიდევ ექვსი PAC (ქვეთავი 9.7).

PAC-ების გამოსავლენად ორი მიდგომა იქნა გამოყენებული. პირველ რიგში, გამოყენებული იქნა ზემოთ აღწერილი საზღვრის კრიტერიუმი. მეორე რიგში, განხილული იქნა დასახლებები, რომლებიც ზემოთ მოცემული საზღვრების გარეთ, თუმცა მათ სიახლოვეს მდებარეობს. თითოეული დასახლების მახასიათებელი დეტალურად გაანალიზდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა, რომლებიც ადგილობრივი მცხოვრებლების მფლობელობაშია და მათ მიერაა დამუშავებული, და მათი ზედაპირის მთლიანი ფართობი, რომელიც საზღვრების შიგნითაა მოქცეული
- დასახლების საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი, ან მუნიციპალურ ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გამოყენებულია როგორც დასახლების საკუთრებაში არსებული მიწა (იმის მიუხედავად, ამგვარი გამოყენება იურიდიული ძალის მქონე თუ არასავალდებულო ხელშეკრულებითაა განსაზღვრული მუნიციპალიტეტსა ან სახელმწიფოს და მიწით მოსარგებლე თემს/კერძო პირს შორის) და მოქცეულია საზღვრებში
- ESIA-ს ჯგუფის მოსაზრება წარსულ გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ არის გონივრული ვარაუდი დასახლება მოექცეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ.

ეს სამუშაო შეასრულა ESIA-ს ჯგუფმა, რომელმაც გამოიყენა BP-ს სოციალური და მიწათსარგებლობის სპეციალისტების მონაცემები და გაანალიზა თითოეული შემთხვევა, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა მიეკუთვნებოდა თუ არა საზღვრების გარეთ არსებული დასახლება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს.

PAC-ების სია განახლებული იქნა ESIA-ის საჯარო განხილვის პერიოდის დროს მილსადენის სამშენებლო ბანაკის მდებარეობის და CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

SCPX-ს ახლანდელი PAC-ების სია (2013 წლის მარტის მდგომარეობით) მოცემულია PCDP-ში დანართი C1). ეს სია გადაისინჯება და საჭიროებისამებრ მოხდება PAC-ების დამატება, იმ შემთხვევაში თუ პროექტის დიზაინში შეტანილი ცვლილებები გამოიწვევს ახალი PAC-ების იდენტიფიცირებას.

PAC-ებთან კონსულტაციები წარმოადგენდა ESIA-ს კონსულტაციის პროცესის ცენტრალურ ელემენტს, და PAC-ებთან მუშაობა გაგრძელდება ESIA-ს შემდგომაც, SCPX პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების მსვლელობისას (იხ. სურათი 9-1).



სურათი 9-1: კონსულტაცია PAC-თან ხაიშში

9.4.3 საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წარსულში მონაწილეობდნენ აუდიტისა და მონიტორინგის პროგრამებში და გამოხატეს აქტიური ინტერესი საქართველოში BP-ს საქმიანობის მიმართ, საქართველოში არსებულ არასამთავრობოთა ფართო ქსელთან ერთად, ითვლებიან ძირითად დაინტერესებულ მხარეებად. BP საქართველოს აქვს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ინტერესთა სფეროების მონაცემთა ბაზა, რომლებიც წარსულში ან მიმდინარე პერიოდში მონაწილეობდნენ/მონაწილეობენ ან დაინტერესებული არიან BP-ს საქმიანობით.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა საზოგადოებას გააჩნია ინფორმაციის გაცვლის შემდეგი ქსელები/პარტნიორი ორგანიზაციები:

- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (<http://www.cenn.org/wssl/index/php>)
- კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (<http://www.rec-caucasus.org/index.php?lang=eng>)
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (<http://www.epfound.ge/english/about-us.html>)

SCPX-ს პროექტის კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული ჯგუფები დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებული იქნა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელებისა და პარტნიორობის არსებული შიგა მონაცემთა ბაზები, რომლებიც მოიცავს როგორც საერთაშორისო, ასე ნაციონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ ოფისები საქართველოსა და კავკასიაში.

9.4.4 სამეცნიერო საზოგადოება

აღიარებული იქნა, რომ სამეცნიერო საზოგადოება ჩართული უნდა იყოს SCPX პროექტში, რამდენადაც ამ საზოგადოების წევრები არიან ექსპერტები თავიანთ დარგებში და შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ SCPX-ს ანგარიშის მომზადებაში. ამის გარდა, ისინი კონსულტაციებს უწევენ მარეგულირებელ ორგანოებს ESIA-ს ანგარიშის სამუშაო ვარიანტის განხილვისას და მისი „დამტკიცების“ შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და ზოგადად შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ESIA პროცესში.

მიჩნეულია, რომ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ბევრი წევრი ასევე გაწევრიანებულია არასამთავრობო ორგანიზაციათა თანასაზოგადოებაში, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან სამეცნიერო კვლევაში. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოება ჩართული იქნება ESIA პროცესში ინფორმაციის გასაზიარებლად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და GOCC-ის (ESIA-ს ანგარიშის ოფიციალური დამამტკიცებელი) მეშვეობით.

9.4.5 მედია

BP-ს აქვს ურთიერთობა მედია-ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ რეგულარულ ბრიფინგებში, რომელსაც BP მართავს საქართველოში მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. ინფორმაცია SCPX-ს პროექტის შესახებ მიწოდებული იქნება ამ არსებული არხებით. დამატებითი მედია-ორგანიზაციები ჩართულნი იქნებიან ინფორმაციის გაზიარების გზით არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელებთან (რომელთა ხელმძღვრეები არიან სხვადასხვა მედია-ორგანიზაციები).

მედია ჩართული იყო ESIA-ს კონსულტაციების პროცესში, რამდენადაც სხვადასხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს SCPX-ს პროექტის ინფორმაციის საჯაროობისათვის და ძირითადი საკონსულტაციო საქმიანობებისათვის, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

9.4.6 დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები

დიპლომატიური მისიები, თბილისში მოქმედ საელჩოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით, როგორებიცაა მრავალმხრივი საკრედიტო ინსტიტუტები (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს და მათთვის მიწოდებული იქნება უმთავრესი ინფორმაცია პროექტის შესახებ მიმდინარე ჩართულობის პროცესის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება არსებულ საქმიანობებს.

9.4.7 SCPX-ს პროექტის პარტნიორები

BP SCPX-ს პროექტის პარტნიორები წარმოადგენენ ასევე დაინტერესებულ მხარეებს SCPX პროექტშიც და შესაბამისად იქნებიან ინფორმირებულნი. მათთან გაიმართება კონსულტაციები პროექტის მიმდინარეობის შესახებ რეგულარული შუალედებით, ძირითადად პარტნიორთა კვარტალური შეხვედრებისას.

9.4.8 BP-ს პერსონალი

BP-ს საშტატო თანამშრომლები წარმოადგენენ SCPX პროექტის დაინტერესებულ მხარეებს და მათი ინფორმირებულობა პროექტის პროგრესის შესახებ განხორციელდება რეგულარული შუალედებით.

9.5 კონსულტაციები ESIA-ს სამუშაოთა მოცულობის ინფორმაციის მისაწოდებლად

9.5.1 შესავალი

ამ კონსულტაციებში ჩართული იქნებიან:

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები
- ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები
- საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება.

9.5.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ოფიციალური წარმომადგენლები

ცენტრალური ხელისუფლება

ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან უწყებები, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ „დამტკიცების“ პროცესში და რომელთაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი SCPX-ს პროექტისა და მისი შესაძლო ზემოქმედებების მიმართ. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, პირისპირ შეხვედრები მოეწყო GOGC-თან, გარემოს დაცვის სამინისტროსთან, ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ამ შეხვედრებზე განხილული იქნა როგორც SCPX, ასევე WREP-SR პროექტები. BP-ს წარმომადგენელმა მოამზადა შეხვედრის ოქმი, სადაც დაფიქსირდა ყველა წამოჭრილი საკითხი.

ადგილობრივი ხელისუფლება

BP-მ პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ადგილობრივ ხელისუფლებას (მხარეები და ქალაქი რუსთავი) და ადგილი ქონდა უმთავრესი საკითხების განხილვას. დამატებით, გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრები (იხ. ქვეთავი 9.5.3 ქვემოთ) მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავში, რომლებიც წარმოადგენდა PAC-ებთან კონსულტაციების წინამორბედ პროცესებს; აღნიშნულ შეხვედრებზე ასევე გაიმართა მსჯელობა ნებისმიერ წამოჭრილ საკითხზე, რომელიც პროექტს უკავშირდებოდა.

9.5.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

PAC-ებთან კონსულტაციების სტრატეგია

წინა მილსადენების პროექტების ESIA-ს შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჩატარებულიყო კონსულტაციები თავდაპირველად იდენტიფიცირებულ 39 PAC-ში.

გამოყენებული იქნა შემდეგი ორი მიდგომა:

- საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ების წარმომადგენლებთან (დაახლოებით ექვსი თითოეულ PAC-ში არჩეული ან მთავრობის მიერ დანიშნული ხელმძღვანელის მონაწილეობით)
- ინტერვიუები PAC-ების რეპრეზენტატიულად შერჩეულ მცხოვრებებთან, რომლებიც შეირჩნენ 1200 შინამეურნეობის კვლევის შედეგად, მათ მიერ SCPX პროექტის აღქმის, პროექტის შესახებ მათი შეხედულებებისა და სხვადასხვა საკითხების დასაფიქსირებლად.

შინამეურნეობების შესწავლა იმდაგვარად დაიგეგმა, რომ უზრუნველყოფილიყო PAC-ების იმ მაცხოვრებელთა (როგორებიცაა ქალები, შეზღუდული შესაძლებლობების/ქრონიკულად ავადმყოფი პირები და უმუშევრები) მოსაზრებების დაფიქსირება, რომლებიც ზოგჯერ არასრულად არიან წარმოდგენილნი (მცირე რაოდენობის წარმომადგენლებით) შედარებით ოფიციალურ შეხვედრებში.

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა ექვს დამატებით PAC-ში, თუმცა შინამეურნეობების კვლევები არ ჩატარებულა.

PAC-ის წარმომადგენლები

PAC-ების რიცხვისა და მრავალფეროვნების, ასევე მათი გეოგრაფიული განვრცობის გამო, კონსულტაციები მას შემდეგ ჩატარდა, რაც განხორციელდა სამი უმთავრესი აქტივობა: გეოგრაფიულად გაფანტულ PAC-ებთან კონსულტაციის მექანიზმის შემუშავება; ინფორმაციის წინასწარი განსაჯაროება და მხარეებისა და მუნიციპალიტეტების/ქალაქების ხელმძღვანელთა შეტყობინება.

წინა მილსადენების პროექტების ESIA-ში წარმატებით განხორციელდა PAC-ების კლასტერიზაციის სტრატეგია, ამიტომ SCPX-ს პროექტის ESIA-სთვის შეირჩა ანალოგიური მიდგომა. PAC-ების დადგენის შემდგომ, ჩატარდა ანალიზი კლასტერიზაციის განხორციელებადობის დასადგენად, რომლის დროსაც აქცენტი გაკეთდა შემდეგ ფაქტორებზე:

- მდებარეობა
- ეთნიკურობა/ენა
- მოსახლეობის რაოდენობა
- წინა პროექტების განმავლობაში წამოჭრილი საკითხები.

ამ ფაქტორებზე დაყრდნობით, PAC-ების უმრავლესობა შეიძლება გაერთიანდეს კლასტერებში, რომლის „ცენტრს“ წარმოადგენს ერთი PAC-ი, სადაც განხორციელებადად ჩაითვალა შეხვედრის ორგანიზება, რომელზე დასწრებაც შედარებით გაიოლებული იყო ყველ მოწვეული პირისთვის. მთლიანობაში, ჩატარდა 19 საკონსულტაციო შეხვედრა; მხოლოდ 3 PAC არ გაერთიანდა კლასტერში და თითოეულ ამ PAC-ში ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრა.

PAC-ების კლასტერიზაციის დასრულების შემდგომ, ყურადღება გადატანილი იქნა კონსულტაციის პროცესში შერჩევის მექანიზმისკენ. განიხილული იქნა რამდენიმე ვარიანტი:

- საჯარო შეხვედრა თითოეულ კლასტერში
- საჯარო შეხვედრების შემდგომ, გაგრძელდა მუშაობა თითოეული PAC-ის სამიზნე ჯგუფებთან, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის კატეგორიას, რომელთა უმთავრესი ინტერესი „შემოსავლის წყაროა“ (მაგალითად, სოფლის მეურნეობა) და „სოციალური კატეგორიები“, როგორებიცაა ქალები და სოციალურად დაუცველი ადამიანები
- არასაჯარო შეხვედრები თითოეული კლასტერიზებული ან არაკლასტერიზებული PAC-ის შერჩეულ წარმომადგენლებთან.

ამ ვარიანტების უპირატესობები და სისუსტეები განხილული იქნა როგორც კონსულტაციების ეფექტურობის, ისე დროის/რესურსების შეზღუდვების კონტექსტში. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჩატარებულიყო არასაჯარო შეხვედრების სერია წინასწარ შერჩეულ და მოწვეულ პირებთან, რომლებიც განიხილებოდნენ PAC-ის

მცხოვრებთა რეპრეზენტატიულ წარმომადგენლებად და მიაწვდიდნენ ინფორმაციას PAC-ის მოსახლეობის სავარაუდო ინტერესთა სფეროებზე.

ამრიგად, გადაწყდა რომ თითოეული PAC წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო რწმუნებულთ (ან დასახლებული ალტერნატიული წარმომადგენლთ იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებულს დასწრება არ შეეძლო) და PAC-ის ოთხიდან შვიდამდე მაცხოვრებლთ. რეკომენდირებული იყო PAC-ის შემდეგი ტიპის მცხოვრებნი:

- სკოლის დირექტორი ან მასწავლებელი
- კლინიკის/საავადმყოფოს ექიმი ან მედდა
- ფერმერი, მეფუტკრე, მაღაზიის მფლობელი, დურგალი (ან სხვა მოსახლე, რომელიც დაკავებულია საქმიანობით, რომლითაც PAC-ისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს გამოიმუშავებს)
- 17-22 წლის ახალგაზრდა პირი (როგორცაა სკოლის/სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე)
- ქვეყნის შიგნით იძულებით ადგილნაცვალ პირი (IDP)/ლტოლვილი, ან რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირი, ან ქრონიკული დაავადების მქონე პირი
- სათემო ორგანიზაციების ან ადგილობრივი ასოციაციების უხუცესი ან დიდი ხნის წევრები.

მცხოვრებთა ზემოაღნიშნული „კატეგორიები“ ზოგადია; აღმოჩნდა, რომ ყველა PAC-ში არ არიან მცხოვრებნი, რომლებსაც შეუძლიათ ყველა კატეგორია წარმოადგინონ. დამატებით, გადაწყდა, რომ დამსწრეთაგან PAC-ის მინიმუმ ერთი მცხოვრები ქალი (სიის მიხედვით) უნდა ყოფილიყო, ხოლო ქალების წარმომადგენლობის ზედა ზღვარი თითოეული PAC-სთვის არ დაწესებულა.

PAC-ების წარმომადგენელთა შერჩევის საუკეთესო ვარიანტად წარმომადგენელთა რწმუნებულების (ან მათი ექვივალენტური პირების) მიერ შერჩევა ჩაითვალა. ამავე დროს, საკონსულტაციო შეხვედრებამდე მომზადდა და თითოეულ რწმუნებულს (ან მის ექვივალენტურ პირს) გადაეცა სახელმძღვანელო დოკუმენტი, შეხვედრაზე მოსაწვევი შესაბამისი მცხოვრებლების შერჩევის პროცესის დასახმარებლად. რწმუნებულებს (ან მათი ექვივალენტური პირები) მიეწოდათ მოკლე ინფორმაცია და სახელმძღვანელო დოკუმენტი წინა-საკონსულტაციო მოსამზადებელი შეხვედრების სერიის დროს ადგილობრივ სახელისუფლებო უწყებებთან. მოსამზადებელი შეხვედრების ხასიათი და დანიშნულება ქვემოთაა განხილული.

საქართველოში განხორციელებული წინა მილსადენების, განსაკუთრებით BTC მილსადენის, პროექტის ESIA-ს გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეხვედრათა გრაფიკი ისე შემუშავდა რომ BP-ს საშუალება მიეცოდა აქტიურად ყოფილიყო წარმოდგენილი შეხვედრებზე. ამგვარად, თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა სოციალური ან მიწასთან დაკავშირებული საკითხების ჯგუფის წევრი (ჩვეულებრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მიწასთან დაკავშირებული საკითხების ოფიცერი) და ზოგჯერ ორივე ჯგუფის წევრები. ზემოხსენებული BP-ს სპეციალისტები იცნობენ PAC-თან დაკავშირებულ საკითხებს, და თუ SCPX პროექტი დამტკიცდება, იქნებიან BP-ს საჯარო „სახეები“, რომელთაც PAC-ების მცხოვრებლები სავარაუდოდ ნახავენ მათ დასახლებებში/დასახლებების მახლობლად. მათი შეხვედრებზე დასწრება ნიშნავს, რომ PAC-ების მონაწილეებს ქონდათ საშუალება მიეღოთ ინფორმაცია/პასუხები შეკითხვებზე უშუალოდ პროექტის წარმომადგენლებისგან და არა მესამე მხარისგან.

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება

ინფორმაციის გავრცელება ორი საშუალებით. პირველ რიგში, მომზადდა ბროშურა მოსახლეობისათვის, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე (ინგლისური ორიგინალის მიხედვით). ამ ბროშურაში მოცემულია უმნიშვნელოვანესი დეტალები (ტექსტი და რუკები) SCPX პროექტისა და ESIA პროცესის შესახებ. ბროშურაში ასევე მითითებულია BP-ს სატელეფონო ნომერი და მისამართი, რათა არსებობდეს საშუალება შენიშვნები SCPX პროექტის შესახებ წარედგინოს BP-ს ნებისმიერ დროს, და არა მხოლოდ ოფიციალური საკონსულტაციო მოვლენების კონტექსტში. მთლიანობაში, დაიბეჭდა და გავრცელდა 25,000 ბროშურა, რაც ნიშნავს დაახლოებით ერთი ბროშურის ხელმისაწვდომობას ორი შინამეურნეობისათვის. ბროშურების გავრცელება განხორციელდა ადგილობრივ სახელისუფლებო უწყებებთან გამართული მოსამზადებელი შეხვედრების საშუალებით.

მოსამზადებელ შეხვედრებზე PAC-ების ოფიციალურ პირებს ეთხოვათ დაეტოვებინათ ბროშურის ეგზემპლარები საჯარო ადგილებში, რომლებთანაც PAC-ების მცხოვრებებს ექნებოდათ ადვილი წვდომა. დამატებით, BP-ს პერსონალმა გაავრცელა ბროშურები PAC-ებში სამაუწყებლო შეხვედრებსა და PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრებს/შინამეურნეობების კვლევებს შორის დროის შუალედში. თითოეული საკონსულტაციო შეხვედრის დასაწყისში კეთდებოდა SCPX პროექტის მოკლე პრეზენტაცია, რომლის შემდეგ სესიაზე დამსწრეებს საშუალება ქონდათ დაესვათ კითხვები განმარტებების მისაღებად. აღნიშნული პროცესი წარმოადგენდა ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან შესაძლებლობას მათთვის, ვინც ვერ შეძლო ბროშურის წაკითხვა და SCPX პროექტის გააზრება საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობამდე. ფაქტიურად, შეხვედრების დროს სესიები გადაიზრდებოდა ხოლმე SCPX პროექტის შესახებ არსებული აზრების, მოსაზრებების და პრობლემური საკითხების ზოგად განხილვაში.

მოსამზადებელი შეხვედრები

იმის გამო, რომ კონსულტაციების ორგანიზება ხდებოდა PAC-ების ერთ ადგილას კლასტერიზაციის საფუძველზე და შეხვედრებისათვის გამოიყენებოდა საჯარო შენობები, გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების თანამშრომლობას. ამგვარად, მოსამზადებელი შეხვედრების სერიები მოეწყო ყველა იმ ადგილობრივი ხელისუფლების უწყებასთან, რომელთა ადმინისტრაციულ საზღვრებში უნდა განხორციელდეს SCPX პროექტი. ამ შეხვედრებს ორი ძირითადი მიზანი ქონდა: SCPX პროექტისა და ESIA-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება ძირითადი დანიშნული ოფიციალური პირებისა და არჩეული ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების წევრებისთვის და თხოვნა PAC-ების დონის ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური პირებისადმი (არსებითად, იგულისხმებიან რწმუნებულები და ქვემოთ მითითება იქნება მხოლოდ რწმუნებულებზე) მხარდაჭერისა და თანამშრომლობის შესახებ შეხვედრების მომზადებასა და შემდგომ მათში მონაწილეობაში.

მოსამზადებელი შეხვედრების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა საკონსულტაციო შეხვედრების ჩასატარებლად რწმუნებულების და სხვა ოფიციალური პირების მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვება. რწმუნებულებს და სხვა ოფიციალურ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია და სახელმძღვანელო პრინციპები შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრების ჩატარების ადგილი/დრო
- შეხვედრების ფორმატი და დღის წესრიგი
- შეხვედრების მნიშვნელობა ESIA-ს პროცესში
- შეხვედრებზე მოსაწვევი PAC-ების მცხოვრებლების რაოდენობა და ტიპი.

მოსამზადებელ შეხვედრებს ესწრებოდნენ BP-ს თანამშრომლები; შეხვედრები ორგანიზებული იქნა PAC-ებთან კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით

ადრე. ერთგვირიანი შუალედი მოსამზადებელ და საკონსულტაციო შეხვედრებს შორის შეირჩა იმ მიზნით, რომ PAC-ების მცხოვრებებს ჰქონოდათ საკმარისი დრო მოსახლეობისათვის განკუთვნილ ბროშურაში მოცემული ინფორმაციის წასაკითხად, გასააზრებლად და განსახილველად, და მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად (შეხვედრაზე დამსწრე რწმუნებულებისა და PAC-ების სხვა მცხოვრებებისათვის გადასაცემად), ასევე იმ მიზნით, რომ კონსულტაციები ჩატარებულიყო მოსამზადებელი შეხვედრების შემდეგ საკმარისად მცირე დროში, რათა საკითხები ჯერ კიდევ აქტუალური ყოფილიყო შეხვედრაზე დამსწრეთათვის. რწმუნებულებს დაუკავშირდნენ ტელეფონით მოსამზადებელ და საკონსულტაციო შეხვედრებს შორის დროის შუალედში და კიდევ ერთხელ დაუდასტურეს შეხვედრის ჩატარების ადგილი, თარიღი და დამსწრეთა ვინაობა.

საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ებთან

საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 2001 წლის სექტემბერში (თავდაპირველ 39 PAC-ში) და 2012 წლის ივლისში (ახალ 6 PAC-ში); შეხვედრები მოეწყო სამუშაო დღის სხვადასხვა დროს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩართული იყვნენ შეხვედრების ადგილების/დროის განსაზღვრაში, ისინი ასევე ადასტურებდნენ, რომ შერჩეულ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ შეხვედრებს.

ყველა შეხვედრა ტარდებოდა სტანდარტული დღის წესრიგის მიხედვით ქართულ ან რუსულ ენებზე დამსწრეთა უმრავლესობის ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისად. შეხვედრებს ხსნიდა მასპინძელი რწმუნებული (ამ მისი ექვივალენტური პირი) და მას უძღვებოდა ESIA-ს ადგილობრივი ჯგუფის წევრი. SCPX-ს პროექტის წარდგენისა და „კითხვა/პასუხის“ სესიის შემდგომ, დღის წესრიგით განსაზღვრული დროის დიდი ნაწილი ეთმობოდა შეხედულებების, საკითხებისა და პრობლემური საკითხების ჩამოყალიბებას SCPX-ს პროექტის PAC-ს მცხოვრებლებზე ზემოქმედებებთან მიმართებაში.

შეხვედრების მსვლელობისას ESIA-ს ადგილობრივი ჯგუფის სხვა წევრი აწარმოებდა შეხვედრის მიმდინარეობის ოქმს. თითოეული შეხვედრის შემდეგ მზადდებოდა შეხვედრის ოქმი, რომელშიც დაფიქსირებული იყო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო, ადგილი) და დამსწრეები (მაგალითად, სახელი და გვარი, სქესი და სამუშაო ადგილი), ასევე წამოჭრილი საკვანძო და პრობლემური საკითხები. წამოჭრილ საკითხთა შეჯამება ქვემოთაა მოცემული (როგორც 2011 წლის სექტემბერში, ასევე 2012 წლის ივლისში ჩატარებულ კონსულტაციებზე წამოჭრილი საკითხები) (იხ. ცხრილი 9-4).

ქვემოთ წარმოდგენილია ყველა საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეთა ანალიზი, რომლებიც ჩატარდა თავდაპირველ 39 PAC-ში (იხ. ცხრილი 9-2). უმთავრესი საკითხებია:

- კლასტერიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღიათ ორი PAC-ის (5%) წარმომადგენლებს
- რვა PAC არ იყო წარმოდგენილი ოფიციალური ხელმძღვანელით
- ყველა შეხვედრას სულ დაესწრო PAC-ების 288 მცხოვრები (რწმუნებულებისა და მათი ექვივალენტური პირების ჩათვლელად), დასწრების საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 17 ადამიანს (პირობითად, სქესის მიხედვით საშუალოდ 12 მამაკაცი და 5 ქალი), ყველაზე დაბალი დასწრება შეადგენდა 9 დამსწრეს, ხოლო ყველაზე მაღალი - 26-ს
- დამსწრეთა დაახლოებით 28%-ს შეადგენდნენ ქალები (აღნიშნული რიცხი აჭარბებს მინიმალურ „მოთხოვნას“, რომელიც მოცემული იყო ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური პირებისთვის გადაცემულ შერჩევის სახელმძღვანელო დოკუმენტში). ქალები ესწრებოდნენ ყველა შეხვედრას.

- დაახლოებით
 - მონაწილეთა 4% კლასიფიცირდა როგორც „ჭაბუკი/ახალგაზრდა პირი“
 - მონაწილეთა 24% კლასიფიცირდა როგორც „დაუსაქმებელი“
 - მონაწილეთა 3% კლასიფიცირდა როგორც „მეწარმე“
 - მონაწილეთა 1.4% კლასიფიცირდა როგორც „ფერმერი“
 - მონაწილეთა 6.3% კლასიფიცირდა როგორც „პენსიონერი“ ან „ვეტერანი“
 - მონაწილეთა 47% კლასიფიცირდა როგორც „კვალიფიციური ან ნახევრად-კვალიფიციური“
- სამმა პირმა მიუთითა, რომ ისინი ლტოლვილები იყვნენ
- არც ერთი დამსწრე არ ყოფილა რეგისტრირებული, როგორც უნარშეზღუდული ან ქრონიკულად ავადმყოფი პირი

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებს არ დასწრებიან ორი PAC-ის წარმომადგენლები და მონაწილეთა რაოდენობა, ასევე მათი იდენტურობა/მონაცემები თითოეულ შეხვედრაში განსხვავებული იყო, არ არის მიჩნეული რომ ამან უარყოფითად იმოქმედა „რეპრეზენტატიულობაზე“ საკონსულტაციო შეხვედრებში. ცალკეული PAC-ების არ ყოფნა და სხვადასხვა PAC-ის წარმომადგენელთა დასწრების მაჩვენებლის განსხვავებულობა სავარაუდოდ არ არის საკმარისი პირობა იმის დასაშვებად, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეამცირებენ საკონსულტაციო შეხვედრათა მთლიანობის მკაფიო შედეგების ალბათობას; აღნიშნული შედეგები წარმოადგენს სანდო ინფორმაციას PAC-ების მცხოვრებებზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, ან მათ მიერ დაფიქსირებული პრობლემური საკითხების ირგვლივ.

ცხრილი 9-2: PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი

PAC /შეხვედრა (ყველა მოწვეული PAC =39, სექტემბერი 2011)	დამსწრეთა რაოდენობა	გამგებლების /რწმუნებულების /სპეციალისტების საერთო რაოდენობა ³	მამაკაცი	ქალი	PAC, რომელიც წარმოადგენილი არ ყოფილა
აღთაქლა, ყარათაქლა	18	2	14	4	-
ახალი სამგორი, გამარჯვება 1	15	2	8	7	-
არალი, წარბასთუმანი, უდე	12	2	6	6	წარბასთუმანი
ავრანლო, რეხა, ხანდო	13	3	9	4	-
ბერთა	21	1	15	6	-
გარდაბანი (ქალაქი), პობედა, თბილწყარო	13	1	11	2	-
ჯანდარი 1	13	1	11	2	-

³ „სპეციალისტი“ მუშაობს რწმუნებულთან და შეიძლება განიხილებოდეს როგორც რწმუნებულის ადმინისტრაციის წევრი

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

PAC /შეხვედრა (ყველა მოწვეული PAC =39, სექტემბერი 2011)	დამსწრეთა საერთო რაოდენობა	გამგებლების /რწმუნებულების /სპეციალისტების საერთო რაოდენობა ³	მამაკაცი	ქალი	PAC, რომელიც წარმოდგენილი არ ყოფილა
ქესალო, ნაზარლო, ვახტანგისი	23	2	18	5	-
ხაიში, ქოთიში	13	1	9	4	-
ყიზილქილისა, ოზნი, ბურნაშეთი	21	3	19	2	-
კრწანისი, ახალი კუმისი	10	2	6	4	-
მზიანეთი, ლემშენიერა, ნაგები	26	2	19	7	ნაგები
მარნეული (ქალაქი), ჯანდარი 2	25	2	22	3	-
აიაზმი, ნარდევანი,	12	2	10	2	-
რუსთავი	18	1	6	12	-
წინუბანი, წყალთბილა, ნაოხრები, ჯულდა, აბათხევი	26	3	20	6	-
ვალე	9	1	5	4	-
სულ	288	31	208	80	-
დამსწრეთა საშუალო რაოდენობა (დამსწრეები/მამა კაცი/ქალი)	17	-	12 (დამრგვა ლებული ა ქვედა მაჩვენებ- ლისკენ)	5 (დამრგვა ლებულია ზედა მაჩვენებ- ლისკენ)	-
დამსწრეთა უმცირესი რიცხვი ნებისმიერ ერთ შეხვედრაზე	9	-	-	2	-
დამსწრეთა უდიდესი რაოდენობა ნებისმიერ ერთ შეხვედრაზე	26	-	-	12	-

მილსადენის სამშენებლო ბანაკის ადგილდემბარეობის შეცვლის (განხილული მე-4 თავში) და CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო ბანაკის განლაგების განსაზღვრის გამო იდენტიფიცირებული იქნა დამატებითი PAC-ები, ქვეთავში 9.4.2 აღწერილი

კრიტერიუმების შესაბამისად. 2012 წლის ივლისში ამ PAC-ებში ჩატარდა კლასტერული შეხვედრები, რასაც მოჰყვა ქვეთავში 9.5.3 აღწერილი პროცესის ანალოგიური პროცესი. შეხვედრები PAC-ებში ჩატარდა ადრე ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების ანალოგიური ფორმატით; მიწოდებული იქნა ინფორმაცია პროექტის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება გაკეთდა სამშენებლო ბანაკებზე.

ამ უბნებში შეხვედრები ჩატარდა ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის დაწყებამდე (ქვეთავი 9.7); გავრცელდა ინფორმაცია შეხვედრების ჩატარების ადგილის და დროის შესახებ, რათა ადგილობრივ მოსახლეობას, სურვილის შემთხვევაში, ჰქონოდა დასწრების საშუალება.

დამატებით PAC-ებში ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეების ანალიზი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-3). საყდრიონში მოწყობილ შეხვედრას ძალიან ბევრი ადამიანი ესწრებოდა, რამდენადაც გავრცელდა ჭორი, რომ შეხვედრა ძირითადად იმართებოდა დასაქმების საკითხთან დაკავშირებით. ეს ასევე ხსნის იმ ფაქტსაც, რომ შეხვედრას არ ესწრებოდა არცერთი ქალი.

ცხრილი 9-3: საკონსულტაციო შეხვედრები დამატებით PAC-ებში

PAC-ები/შეხვედრა (ყველა მოწვეული PAC = 6)	დამსწრეთა საერთო რაოდენობა	გამგებლის/რწმუნებულის/სპეციალისტის საერთო რაოდენობა ⁴	მამაკაცი	ქალი	PAC-ები, რომლებიც არ ესწრებოდნენ შეხვედრას
გამარჯვება, ფოლადაან-თკარი, ყარაჯა-ლარი	18	1	13	5	-
საყდრიონი, განთიადი, კუში	72	3	72	0	-
ჯამში	90	4	85	5	

PAC-ების შინამეურნეობების კვლევა

თავდაპირველად შერჩეული 39 PAC დაიყო სამ ჯგუფად SCPX-ს პროექტის ძირითად კომპონენტებთან სიახლოვის მიხედვით:

- პარალელური მილსადენი (მილსადენი და მასთან დაკავშირებული ჩამკეტი სარქველები/უკუსარქველები)
- CSG1 და CSG2 (საკომპრესორო სადგურები და მათთან დაკავშირებული სამშენებლო ბანაკები)
- PRMS (და სამშენებლო ბანაკი).

შინამეურნეობების კვლევა ჩატარდა თითოეული ამ ჯგუფის გარკვეული რაოდენობის PAC-ებში შინამეურნეობების შერჩევის სტრატეგიის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა შინამეურნეობების ფონური სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის დასაფიქსირებლად. შინამეურნეობების კვლევა დაეფუძნა ფართოდ გამოყენებულ და სტანდარტიზირებულ კითხვარს. მთლიანობაში, გამოკითხული იყო 1200 რესპონდენტი 34 PAC-ში.

⁴ 'სპეციალისტი' მუშაობს რწმუნებულთან და შეიძლება ჩაითვალოს რწმუნებულის ადმინისტრაციის წევრად.

გამოკითხვის პროცესში ჩართული იყო ყველა PAC-ი CSG1/CSG2-ს მისასვლელი გზების გასწვრივ და PRMS-ის სიახლოვეს, თუმცა არ გამოკითხულა ყველა PAC-ი CSG1/პარალელური მილსადენის მახლობლად (იხ. თავი 8, რომელშიც მოცემულია შინამეურნეობების კვლევებისას გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის განმარტება).

შინამეურნეობების კვლევა იძლეოდა საშუალებას მცხოვრებთა გამოკითხვის გზით მიღებული ყოფილიყო ინფორმაცია, თუ რამდენად იცოდნენ ადგილობრივებმა მათ რაიონებში განსახორციელებელი SCPX პროექტის კომპონენტების შესახებ, ასევე დაფიქსირებულიყო მათი მოსაზრებები და მათთვის პრობლემური საკითხები შესაძლო ზემოქმედებებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნულ საკითხებზე შეკითხვების დასასმელად მომზადდა და გამოყენებული იქნა კითხვარის სამი განსხვავებული ვერსია. კითხვარის ცალკეული ვერსიები შეიცავდნენ პროექტის ძირითად კომპონენტებზე მორგებულ კითხვებს: პარალელური მილსადენი, საკომპრესორო სადგურები და PRMS. ინტერვიუებმა დაურიგეს ბროშურები იმ რესპონდენტებს, რომელთაც ბროშურები არ ქონდათ ნანახი/წაკითხული ინტერვიუმდე.

9.5.4 არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო საზოგადოება

საქართველოში დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციები (ქართული NGO-ები და საქართველოში ოფისების მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები) და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ თბილისში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართა 2011 წლის 10 ნოემბერს. სამუშაო შეხვედრა ორგანიზებული იყო BP-ს თანამშრომლების მიერ, რომელთაც ასევე მიყავდათ შეხვედრა. სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი და სტრუქტურა წარსულში ჩატარებული მსგავსი ღონისძიებების ანალოგიური იყო. იგი მოიცავდა:

- პროექტის აღწერილობის გაცნობას
- ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის კვლევებს და შედეგებს
- კითხვა-პასუხის სესიას

შეხვედრას დაესწრნენ შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენლები; დამსწრეთა შორის იყო ასევე GOGC-ს წარმომადგენელიც. ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის მსგავსად, განხილული იყო როგორც SCPX, ისე WREP-SR პროექტები. შეხვედრის შემაჯამებელი ოქმი მომზადდა BP-ს მიერ.

9.5.5 კონსულტაციები შესაძლო კუმულაციურ პროექტებთან დაკავშირებით

რიგი სახელმწიფო ორგანოებისგან მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია მიმდინარე ან მომავალში დაგეგმილი მშენებლობების შესახებ, რომლებსაც შემოთავაზებულ SCPX პროექტთან ერთად შეუძლია კუმულაციური ზემოქმედების მოხდენა. ჩატარდა ამ ორგანიზაციებთან კონსულტაციები; კონსულტაციების შედეგები დეტალურად მოცემულია მე-11 თავში, კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები.

9.6 კონსულტაციის შედეგები

9.6.1 ცენტრალური, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები

2011 წელს ჩატარებული შეხვედრების დროს ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-4).

ცხრილი 9-4: ცენტრალური ხელისუფლების დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების რეზიუმე

დაინტერესებული მხარეები	პრობლემები/ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები
GOGC	გრუნტის წყლების 'საცდელი' ჭაბურღილების რაოდენობის და მდებარეობების ადექვატურობა სათანადო მონაცემების მიღებასთან მიმართებაში. მილის მთლიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები გაზრდილი გამტარუნარიანობისა და მომატებული წნევის პირობებში ექსპლუატაციის პროცესში და კითხვა, რომელიც შეეხებოდა ჩატარებული ჰიდროსტატიკური ტესტირების ტიპს

2011 წელს მუნიციპალიტეტებთან/ქალაქებთან ჩატარებულ მოსამზადებელ შეხვედრათა სერიისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების შეჯამება მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-5). ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ მაღალი თანამდებობის პირები მუნიციპალიტეტებიდან/ქალაქების მთავრობებიდან, შერჩეული ოფიციალური პირები ადგილობრივი ხელისუფლების ქვედა რგოლიდან და BP-ს თანამშრომლები.

ცხრილი 9-5: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ წამოჭრილი პრობლემური/ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები

დაინტერესებული მხარეები	პრობლემები/ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები
ადიგენის მუნიციპალიტეტი	შეუძლია თუ არა BP-ს უზრუნველყოს სოფლების გაზომვარაგება ინფორმაციის მოთხოვნა სარგებელზე, რომელიც შეიძლება SCPX პროექტმა სოფლებს მოუტანოს
ახალციხის მუნიციპალიტეტი	ინფორმაციის მოთხოვნა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეებზე ნაოხრების მიწის მიღებისა და კომპენსაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა გარემოს კონტროლისა და მართვის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოიყენება პროექტში
გარდაბანის მუნიციპალიტეტი	წამოჭრილი საკითხები, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ აღქმას, რომ BP-მ უგულვებლყო დასახლების პრობლემები წინა პროექტების განხორციელებისას. ხაზი გაესვა წარსულ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდებოდა მილსადენის გახვისების დერეფანთან მისასვლელ გზას. ასევე, ზოგიერთი დაწესებულები შეზღუდვის გამო მოსახლეობას/ინდივიდუალურ პირებს ხელი შეეშალათ საჭირო საქმიანობის განხორციელებაში, როგორცაა მილის გაყვანა წყლის ტრანსპორტირებისთვის მილსადენის გასხვისების დერეფნის გავლით.

დაინტერესებული მხარეები	პრობლემები/ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები
	გაკეთდა განცხადება, რომ BP-ს დასახლებების განვითარების წინა/მიმდინარე პროექტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და გამოითქვა იმედი, რომ ამდაგვარი პროექტები იქნება SCPX პროექტის განხორციელების შემადგენელი ნაწილი
მარნეულის მუნიციპალიტეტი	ინფორმაციის მოთხოვნა სარგებლის შესახებ, რომელიც SCPX პროექტს შეუძლია მოუტანოს სოფლებს
ქალაქი რუსთავი	ინფორმაციის მოთხოვნა სარგებლის შესახებ, რომელიც SCPX პროექტს შეუძლია მოუტანოს სოფლებს
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	ინფორმაციის მოთხოვნა პარალელური მილსადენის რუკებისა და SCPX-ის პროექტის საპროექტო დუკუმენტაციის ტექნიკური დეტალების შესახებ
წალკის მუნიციპალიტეტი	დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა CSG2-სა და მისასვლელი გზების მდებარეობების შესახებ

9.6.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების სერიებისა და შინამეურნეობების კვლევის შედეგები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ებთან

PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების ოქმების შესწავლის შემდგომ, მომზადდა სინთეზური დოკუმენტი დასმული საკითხების/პრობლემების შესახებ შესაძლო ზემოქმედებებთან (და მათთან დაკავშირებულ საკითხებთან) მიმართებაში. სხვადასხვა შეხვედრებზე წამოჭრილი მსგავსი საკითხები/პრობლემები იდენტიურია, თუმცა განსხვავებული გზებით იქნა გამოთქმული. სინთეზი საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს თითოეული მათგანი გამეორებების გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ არ მომხდარიყო ზემოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის გამოტოვება. ცხრილი 9-6 მოცემულია PAC-ების მიერ წამოჭრილი ზემოქმედების საკითხების/პრობლემების სინთეზი და PAC-ების რაოდენობა, რომლებმაც წამოჭრეს ეს საკითხები.

როგორც ირკვევა, PAC-ების სპექტრის წარმომადგენელთა მიერ წამოჭრილია მცირე რაოდენობის ძირითადი ზოგადი პრობლემური და ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები (არ არის ჩამოთვლილი მნიშვნელობის მიხედვით):

- მიწის შესყიდვა და საკომპენსაციო გარიგებები:
 - კომპენსაციის საკითხები ინდივიდუალური მიწათმფლობელების/მიწით მოსარგებლეების დონეზე
- კომპენსაციის საკითხები PAC-ების დონეზე საძოვრების გამოყენებისთვის და შესაძლო შეზღუდვები ამ მიწის და მასთან მისასვლელი გზების გამოყენებასთან დაკავშირებით
- წარსულში საკომპენსაციო გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები და მოლაპარაკებებისადმი დამოკიდებულება შესაძლო მომავალ კომპენსაციებთან დაკავშირებით
- საკომპენსაციო თანხებთან დაკავშირებული, სოფლის შიგნით სოციალური უთანხმოების შესაძლებლობა

- გარემოზე ზემოქმედებისა და ჯანმრთელობის გაზრდილი რისკები და კომპენსაცია:
 - სამართლიანობის საკითხები 'კომუნალურ' კომპენსაციასა და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ინდივიდუალურ პირებთან მიმართებაში, მაგრამ არა მიწის პირდაპირი მიღება და ზარალთან დაკავშირებული კომპენსაცია
 - რისკები არათანაბრადაა განაწილებული სოფლების მიხედვით, და მათ, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან, უნდა მიიღონ კომპენსაცია
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის ზემოქმედება გზებსა და მათ გარეთ, და ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე საგზაო ქსელის შესაძლო გაუარესების გამო, ასევე მიდგომა გზების სარემონტო სამუშაოების ვალდებულების მიმართ
- სოფლების მიერ სარგებლის მიღების სურვილი (არ გულისხმობს მიწის კომპენსაციას ან ზარალის ანაზღაურებას) მოიცავს:
 - სოციალური ინფრასტრუქტურის (მაგალითად, სკოლები) დახმარებას/განახლებას
 - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას
 - სოციალური დახმარების ფოკუსირებას ადგილობრივი მცხოვრებლების საჭიროებებზე
 - გაზის მიწოდება სოფლებისთვის
- ზემოქმედება ადგილობრივი ინფრასტრუქტურაზე (მაგ., წყალმომარაგების სისტემა) ან ადგილობრივი ინფრასტრუქტურის უკვე დაგეგმილ მშენებლობაზე ან მათი დაზიანება, შეკეთების ვალდებულების საკითხი
- ზემოქმედება გარემოზე ადამიანების და ცხოველთა ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზეგავლენებით შემდეგისგან:
 - დაუგეგმავი ინციდენტები, როგორცაა გაჟონვა და შესაძლო ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე
 - ჰაერის ხარისხის ცვლილება (მირითადად მყარი ნაწილაკების გამო) და ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ფუტკრებზე
 - ვიბრაციის ზემოქმედება სახლებზე
 - რადიაციის ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე
- მძიმე მანქანების გამოყენების ზემოქმედება მონასტერზე სოფელ ბერთასთან
- ზემოქმედება დასაქმების შესაძლებლობებზე და თანმდევი შეშფოთება დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებსა და არადისკრიმინაციულობაზე სქესის, ეთნიკურობისა და ასაკის მიხედვით, ამავდროულად მისი ხელსაყრელობა PAC-ების მაცხოვრებლებისთვის. განსაკუთრებული ინტერესის საგანია სამუშაოების „სარგებლის“ განაწილება და იმის უზრუნველყოფა, რომ ენის ფაქტორი არ არის დაბრკოლება სამუშაოს მისაღებად.
- საკითხი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დროულად მიეწოდება საკმარისი ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებზე, რაც მას მისცემს საშუალებას დროულად ჩააბაროს განცხადება სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით.

ცხრილი 9-6: PAC-ების მიერ წამოჭრილი ძირითადი საკითხების შეჯამება

ზემოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	შენიშვნები ზემოქმედების/პრობლემური საკითხების შესახებ	საკითხის წამოჭრის ადგილი ¹
<p>საარსებო წყაროები (იხილეთ აგრეთვე „მიწის ალება და კომპენსაცია“ ქვემოთ)</p>	<p>CSG2-ის სიახლოვეს წამოიჭრა საკითხი BP-ის მიერ სამოვრების მიწაზე საკომპრესორო სადგურის მშენებლობის შესახებ. ეს ხელს შეუშლის ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის საქონლის მოვებას; გარდა ამისა, საკომპრესორო სადგური ასევე შეუშლის ხელს სხვა სამოვრებთან ადვილად მისასვლელი პირდაპირი გზის გამოყენებას. სამოვრების მომხმარებლები იხდიან გადასახადს ამ მიწით სარგებლობისთვის და შემდგომში მათ შეიძლება სრული მოცულობით ვერ გამოიყენონ ეს მიწა.</p>	<p>ავრანლო</p>
<p>ინფრასტრუქტურა <i>სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობის ზემოქმედება გზების მდგომარეობაზე</i></p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობა დაინტერესებულია მათ დასახლებებში SCPX-ის განხორციელებით გამოწვეული გზების მშენებლობის/შეკეთების საკითხებით.</p>	<p>ავრანლო, პოხედა, თბილწყარო, ყიზილქილისა, ბურნაშეთი, ნარდევანი, რუსთავი, წინუბანი.</p>
<p><i>საგზაო სისტემის შეკეთება</i></p>	<p>BP-ს მიმართეს თხოვნით სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებაში დახმარების გაწევის შესახებ.</p>	<p>ჯანდარი1</p>
<p><i>კომუნალური ინფრასტრუქტურის დაზიანება (მაგ. წყალმომარაგების მილები) სამშენებლო ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის გამო</i></p>	<p>BP-ს მიმართეს თხოვნით სკოლასთან ახლოს არსებული გზის შეკეთებაში დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც ძალზე დაზიანებულია.</p>	<p>ჯანდარი 1</p>
<p><i>გამოითქვა წუხილი მძიმე ტექნიკის მიერ გზებისა და ხიდების დაზიანების შესახებ. ბოლო პროექტის მშენებლობისას დაზიანდა წყლის მილები და მას მერე არ შეკეთებულა.</i></p>	<p>გამოითქვა წუხილი მძიმე ტექნიკის მიერ გზებისა და ხიდების დაზიანების შესახებ. ბოლო პროექტის მშენებლობისას დაზიანდა წყლის მილები და მას მერე არ შეკეთებულა.</p>	<p>ყიზილქილისა, ბურნაშეთი, ლემშვენიერა, ნარდევანი</p>
<p><i>კომუნალური საშუალებების გაუმჯობესება (მაგ. გაზმომარაგების (მილსადენი) ქსელი) და/ან მომარაგება</i></p>	<p>BP-ს მიმართეს თხოვნით სოფელში გაზომომარაგების (მილსადენი) ქსელთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის შესახებ.</p>	<p>ახალი სამგორი</p>
	<p>BP-ს მიმართეს თხოვნით სოფელში გაზომომარაგების (მილსადენი) ქსელთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის შესახებ.</p>	<p>ყიზილქილისა, ბურნაშეთი, კრწანისი, ვალე.</p>
	<p>ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებს მოხდება თუ არა მათი გაზომომარაგების</p>	<p>უდე, საყდრიონი</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

	(მილსადენი) ქსელით უზრუნველყოფა. რამდენადაც მათ იციან, რომ საქართველოს ხელისუფლება ბუნებრივი აირს უფასოდ მიიღებს.	
	გამოითქვა წუხილი იმის შესახებ, რომ მილსადენმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სოფლის ბუნებრივი აირით დაგეგმილ მომარაგებაზე	კუში
	გამოითქვა წუხილი, რომ მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშახელმა შესაძლოა ისარგებლოს გამარჯვების პირველადი დახმარების ცენტრით	გამარჯვება
	შენობა, რომელიც ფუნქციონირებდა როგორც ადგილობრივი სკოლა ცარიელია მოსწავლეების არ არსებობის გამო. შემოთავაზებული იქნა ამ შენობის BP-ს სამშენებლო ბანაკისთვის გამოყენება.	პოზედა
<p>სამუშაო ძალა და სამუშაო პირობები <i>თანამშრომელთა შერჩევა და დაქირავების პრიორიტეტების განსაზღვრა (მაგ. ადგილობრივი მოსახლეობა, ღარიბები, ქალები)</i></p> <p><i>სამუშაოს რამდენიმე დასაქმებულზე განაწილების პოტენციური დასაქმებიდან მიღებული სარგებლის გასაზრცელებლად</i></p> <p><i>დასაქმების შესაძლებლობათა ტიპი და ხანგრძლივობა</i></p> <p><i>სამუშაოზე მიღების პროცესის და სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების განრიგი და ადგილობრივი</i></p>	დაისვა კითხვები BP-ს მიერ ჩასატარებელი ტრენინგის შესაძლებლობების მოცულობის და ტიპის შესახებ, რაც მოსახლეობას BP-ის პროექტებისთვის უფრო შრომისუნარიანს გახდის.	ლემშვენიერა
	დაისვა კითხვა მიენიჭება თუ არა უპირატესობა SCPX პროექტისთვის მუშახელის შერჩევის დროს იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობდნენ BTC/SCP მილსადენების მშენებლობებზე	გამარჯვება
	შემოთავაზებული იქნა დასაქმებისას პირების სოციალური სტატუსის გათვალისწინება, მაგ., პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უღარიბესი ფენის წარმომადგენლებს BP-ის პროექტებში ადრე დასაქმებულებთან შედარებით.	ლემშვენიერა
	გამოითქვა იმედი, რომ პროექტი (მუდმივად) შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს.	ყარათაქლა, კრწანისი, ლემშვენიერა
	გამოითქვა იმედი, რომ პროექტი შექმნის სამუშაო ადგილებს (მაგ. ადგილობრივი მძღოლებისთვის, ახალგაზრდებისათვის და ა.შ.). კერძოდ, არსებობენ გამოცდილი მძღოლები საკუთარი ტრაქტორებით, რომელთა გადამზადება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია BP-ს მიერ.	გამარჯვება1, ხაიში
	გამოითქვა ინტერესი იმის შესახებ, მიენიჭება თუ არა პრიორიტეტი დასაქმებისას ადგილობრივ მოსახლეობას და როგორ მოხდება შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.	უდე, საყდრიონი
	გამოითქვა ინტერესი სამუშაო ვადების და პირობების თაობაზე, როგორცაა ანაზღაურება, ქალთა დასაქმება, დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე სამუშაო კონტრაქტების ხანგრძლივობა.	ბერთა, პოზედა, თბილწყარო, ჯანდარი 1, რუსთავი, ნაოხრები.
	შემოთავაზებული იქნა სამუშაოს როტაციის/გადანაწილების სისტემის შექმნა,	ბერთა

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

<p><i>ხელმისაწვდომობა</i></p> <p><i>თანასწორობის პრინციპის დაცვა არაქართველი მოსახლეობის დასაქმებისას</i></p>	რომელიც დროის განსაზღვრულ პერიოდში უფრო მეტ ადამიანს მისცემდა დასაქმების შესაძლებლობას, მაგ. უფრო ხანგრძლივი პერიოდით ნაკლები ადამიანის დასაქმების ნაცვლად, ერთი წლით დასაქმება.	
	დაისვა კითხვები შესასრულებელი სამუშაოს ტიპის შესახებ.	კრწანისი
	დაისვა კითხვები სამუშაოზე მიღების კრიტერიუმების შესახებ.	მარნეული (ქალაქი) ჯანდარი 2
	წამოიჭრა საკითხი დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის თაობაზე, რადგან წინა სამშენებლო პროექტის განხორციელებისას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ნაცვლად, მუშები დაიქირავეს სხვა რეგიონებიდან.	მარნეული (ქალაქი) ჯანდარი 2, ნარდევანი, განთიადი
	მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია სამუშაოზე შერჩევის პროცედურის შესახებ.	მარნეული (ქალაქი) ჯანდარი 2
	დაისვა კითხვები ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაოთი უზრუნველყოფის მეთოდის შესახებ (მაგ. ბოლოს გამოყენებული იყო „ხმის მიცემის“ სისტემა).	რუსთავი
	წამოიჭრა საკითხი სამუშაო აპლიკაციის თანმხლები საბუთების შესახებ, ასევე დასაქმების პროცესის სამართლიანობის თაობაზე (მაგ. იმის ალბათობა, რომ მთავარი კონტრაქტორი უპირატესობას საკუთარ პერსონალს მიანიჭებს).	ბერთა
	გამოითქვა იმედი, რომ დასაქმების პროცესში უპირატესობა ახალგაზრდობას მიენიჭება.	ნაოხრები
	გამოითქვა იმედი, რომ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას ექნება სამუშაოს მიღების თანაბარი შესაძლებლობა. თუმცა, წარსული გამოცდილების მიხედვით არაქართველი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში ვერ იღებდა სამუშაოს, რადგან დაქირავებისას ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ქართული ენის ცოდნა.	აღთაქლა, ყარათაქლა, ნაოხრები, განთიადი, კუში
<p>სოციალური დახმარება</p> <p><i>სოციალური ინფრასტრუქტურის (მაგ. სკოლები) მხარდაჭერა/შეკეთება</i></p> <p><i>დაუცველი მოსახლეობის დახმარება</i></p> <p><i>სოციალური დახმარება ფოკუსირებული უნდა იყოს ადგილობ-</i></p>	გამოითქვა იმედი, რომ BP დახმარებას გაუწევს სოფელს სკოლის შემოღობვასა და სკოლის კარ-ფანჯრის შეცვლაში.	აღთაქლა, ყარათაქლა
	მიწის მესაკუთრეები მიიღებენ კომპენსაციას, მაგრამ დაისვა შეკითხვა, თუ რა სარგებელს მიიღებს სოფელი პროექტიდან.	ჯანდარი 2
	წამოიჭრა კითხვები BP-ს მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების აღმოჩენის შესახებ.	პობედა, თბილწყარო, კრწანისი
	გამოითქვა იმედი, რომ BP გაუწევს სოციალურ დახმარებას ადგილობრივ სკოლას, რომელმაც სარგებელი ვერ მიიღო წინა პროექტიდან.	ჯანდარი 1
წამოიჭრა კითხვები, გაუწევს თუ არა BP დახმარებას ქრონიკულად დაავადებულ/უნარშეზღუდულ პირებს; ასევე იმ პირთა კატეგორიის შესახებ,	წინუბანი, ქესალო, ნაზარლო	

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

რივი მოსახლეობის საჭიროებებზე	რომელთაც სავარაუდოდ აქვთ ასეთი დახმარების მიღების უფლება.	
	წამოიჭრა კითხვები BP-ს მიერ სოფლის ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების შესახებ.	ნაზარლო
	დაისვა შეკითხვები, რა ტიპის სოციალურ პროექტებს დააფინანსებს BP	მარნეული (ქალაქი), ჯანდარი 2
	წამოიჭრა კითხვები პროექტით სარგებლის მიმღები სოფლების შესახებ (მიწის მესაკუთრეთა კომპენსაციების გარდა), რომლებიც სარგებელს მიიღებენ ადგილობრივი საინვესტიციო პროექტებიდან	ჯანდარი 2, ნარდევანი, გამარჯვება
	გამოითქვა იმედი, რომ BP განაგრძობს ადგილობრივი სკოლებისა და საბავშვო ბაღების დახმარებას.	მარნეული (ქალაქი), ჯანდარი 2, რუსთავი
	გამოითქვა იმედი, რომ BP დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეებს მათი საჭიროებების მიხედვით; მოსახლეები BP-ს წარმომადგენლებს ამ საჭიროებათა შესახებ მოგვიანებით შეატყობინებენ.	გამარჯვება 1
	დაისვა შეკითხვები BP-ს მიერ სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.	წინუბანი
	დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, განახორციელებს თუ არა BP ჯანდაცვით პროექტს.	რუსთავი
მიწის აღება და კომპენსაცია კომპენსაციის პრობლემები ინდივიდუალური მიწის მფლობელების/მოსარგებლეების დონეზე კომპენსაციის საკითხები კომპენსაციის საკითხები PAC-ის დონეზე საძოვრების მიწით სარგებლობის და სარგებლობის და მათი ხელმისაწვდომობის შესაძ- ლო შეზღუდვის შესახებ „კომუნალურ“ კომპენსაციასთან დაკავშირებული თანასწორობის საკითხები და ცალკეულ პირებ-	წამოიჭრა კითხვები მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო თანხის ოდენობის და ამ თანხის გამოთვლის წესის შესახებ.	ბერთა, საყდრიონი
	წამოიჭრა კითხვები მიწის და საკუთრებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ტიპის შესახებ და ასევე იმ დაზიანებათა ტიპის შესახებ, რომლებიც ექვემდებარება კომპენსაციას.	ქესალო, ნაზარლო, კრწა- ნისი, ლემშენიერა
	წამოიჭრა საკითხები მიწის შეფასების სტანდარტების შესახებ და იქნება თუ არა ეს სტანდარტები ბოლო პროექტში გამოყენებული სტანდარტების ანალოგიური. გამოითქვა იმედი, რომ მიწა შეფასდება სწორად, მფლობელთა ინტერესის გათვალისწინებით.	კრწანისი
	ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას საკუთარ მფლობელობაში არსებული მიწა არ დაუკანონებია (მიწის ნაკვეთები დღემდე არაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში). ზოგიერთი საბუთი საბჭოთა/შევარდნაძის დროინდელია და ხშირად ეს მფლობელობის დამადასტურებელი ერთადერთი საბუთია. ეს წარმოშობს პრობლემებს, ამიტომ BP-ს მიმართეს თხოვნით, „დაკანონების“ დოკუმენტების საკითხებში დახმარების გაწევის შესახებ. ასევე მოსახლეობას აინტერესებს, რა საბუთებია საჭირო მიწის მფლობელობის რეგისტრაციისთვის.	ბერთა

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

<p>ზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც არ მოიცავს კომპენსაციის პირდაპირ მიღებას.</p>	<p>გამოითქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ BP-ს არ გადაუხდია კომპენსაციები წინა პროექტის განხორციელებისას. შედეგად, 10 წლის წინ სასამართლოში აღიძრა საქმე. ხალხს არ სურს ახალი კომპენსაციების განხილვა, ვიდრე არ იქნება გადახდილი წინა პროექტის კომპენსაციები.</p>	<p>ნაოხრები</p>
<p>წარსულის დანატოვარი საკითხები წინა კომპენსაციებთან დაკავშირებით და დამოკიდებულება მომავალი კომპენსაციების შესახებ გასამართი მოლაპარაკებების მიმართ.</p>	<p>სოფლის საბჭო BP-სგან იღებს წლიურ საკომპენსაციო თანხას (2500 ლარი) საძოვრებით სარგებლობისთვის. თუმცა სოფლის მოსახლეობა ამით სარგებელს არ იღებს.</p>	<p>ნაოხრები</p>
	<p>გამოითქვა წუხილი იმის შესახებ, რომ BP-ს არ აქვს გადახდილი წინა პროექტის განხორციელებისას საძოვრებით სარგებლობის კომპენსაციები და გამოითქვა მოსაზრება, რომ სავარაუდოდ იგივე განმეორდება ამ პროექტის განხორციელების დროსაც.</p>	<p>ვალე</p>
<p>PAC-ის დონეზე „ზოგადი“ ბუნებრივი/სოციალური გარემოს სამშენებლო ფაზაზე დაზიანების კომპენსაცია</p>	<p>მიწის კომპენსაციის განაწილება სოფლის მოსახლეობას შორის იწვევს სოციალურ დაპირისპირებას და დავებს მიწის ნაკვეთების ზუსტი საზღვრების გაურკვევლობის და სარეგისტრაციო ჩანაწერების არ არსებობის გამო.</p>	<p>წყალთბილა</p>
<p>სოფლის შიგნით საკომპენსაციო გადახდების შესახებ დავების შესაძლებლობა</p>	<p>ზოგიერთმა მცხოვრებმა აღნიშნა, რომ „ხალხი მზადაა ხელი შეუშალოს BP-ს მიერ ახალი პროექტის განხორციელების პროცესს“ [აღქმულია, როგორც წარსული პროექტის დანატოვარი საკითხი, რომელიც არ გადაწყვეტილია ცალკეული მცხოვრებლების დასაკმაყოფილებლად].</p>	<p>წინუბანი, ნაოხრები</p>
	<p>კითხვები მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებსაც ამუშავებენ სხვა ადამიანები და არა მიწის მესაკუთრეები. ვინ მიიღებს კომპენსაციას ასეთ შემთხვევაში, მფლობელი თუ მოსარგებლე?</p>	<p>კუში</p>
	<p>მოახდენს ზემოქმედებას მილსადენის მშენებლობა ფოლადაანთკართან, ყარაჯალართან და გამარჯვებასთან მდებარე ახალი მიწის ნაკვეთებზე?</p>	<p>გამარჯვება</p>
<p>ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი ბუნებრივი რესურსების მართვა</p>	<p>დაისვა შეკითხვა, იქნება თუ არა ჩართული პროექტში ეკოლოგ(ებ)ი</p>	<p>ახალი სამგორი</p>
	<p>დაიასვა კითხვა მოხდება თუ არა ხეების დარგვა სამშენებლო ბანაკის საზღვრებთან ახლოს</p>	<p>გამარჯვება</p>
<p>დაბინძურების პრევენცია და შემცირება</p>	<p>წამოიჭრა საკითხები მილსადენზე შესაძლო ინციდენტების შესახებ (მაგ. ნავთობის გაჟონვა), რამაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს სოფელზე. სოფელი მსგავსი რისკებისგან დაზღვეული არ არის.</p>	<p>ქარათაქლა</p>
<p>დაუგეგმავი ინციდენტები, როგორცაა გაჟონვა და სავარაუდო ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე</p>	<p>წამოიჭრა საკითხები მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციით გამოწვეული მტვრით დაბინძურების შესახებ და ასევე სატვირთო მანქანების გადაადგილებით გზების დაზიანების შესახებ; ასევე რა სახის შემარბილებელი ღონისძიებები იქნება გამოყენებული</p>	<p>ჯანდარი 1, ლემშვენიერა, გამარჯვება</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

<p>ჰაერის ხარისხის ცვლილება (უმეტესად ნაწილაკების გამო) და მისი გავლენა საზოგადოების ჯანმრთელობასა და მეფუტკრეობაზე</p> <p>ვიბრაციის ზემოქმედება სახლებზე, რადიაციის ზემოქმედება საზოგადოების ჯანმრთელობაზე.</p>	<p>წარმოიშვა საკითხი მილსადენის მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგად ჰაერის დაბინძურების შესახებ, რაც ზემოქმედებას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.</p> <p>ხალხმა წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მშენებლობის შედეგად მოხდება ჰაერის დაბინძურება. კერძოდ, დაბინძურება ძალზე უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს ფუტკრეობაზე და გაზრდის მათ სიკვდილიანობას. წამოიჭრა საკითხი მეფუტკრეობისათვის შესაძლო კომპენსაციის გადახდის შესახებ ფუტკრეობისა და წარმოებული თავლის მოცულობის დანაკარგის ასანაზღაურებლად.</p> <p>წამოიჭრა საკითხი ახლომდებარე სახლებზე მძიმე ტექნიკის ზემოქმედების შესახებ.</p> <p>წამოიჭრა საკითხი მილსადენის სიახლოვეს შესაძლო რადიაციის შესახებ, რამაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.</p>	<p>ციზილქილისა</p> <p>წყალთბილა, ციზილქილისა</p> <p>ვალე</p> <p>ციზილქილისა</p>
<p>დასახლებული პუნქტების მოსახლეობის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და უშიშროება დაუგეგმავი ინციდენტები და მზარდი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაზრდილი რისკები</p> <p>ზოგიერთი სოფელი მეტად ექვემდებარება ამ რისკებს, და საჭიროა მათთვის კომპენსაციის გაცემა.</p>	<p>დაისვა შეკითხვები, რამდენად სარისკოა მილსადენის მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის (განსაკუთრებით, თუ ის გადაკვეთს დასახლებულ ტერიტორიას), რამდენადაც პოტენციური ინციდენტები ზემოქმედებას მოახდენს მრავალ ადამიანზე.</p> <p>წამოიჭრა საკითხი მილსადენისა და გაზის საქაჩი სადგურის უსაფრთხოების შესახებ.</p> <p>მოსახლეობა შეწუხებულია, რომ „რისკი“ მათი სოფლისთვის სხვა სოფლებთან შედარებით უფრო მაღალია, ამიტომაც მათთვის უნდა მოხდეს შესაბამისი კომპენსაციის გაცემა.</p> <p>გამოითქვა წუხილი მცირე მასშტაბის მიწის რყევების/ბიძგების შესახებ, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის საგრძნობია მილსადენის ზევით არსებულ ტერიტორიაზე.</p> <p>გამოითქვა წუხილი იმის შესახებ, რომ მილსადენი სოფლისთვის წარმოადგენს საფრხეს. სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში მილსადენზე თავდასხმა პირველ რიგში მოხდება.</p>	<p>უდე, რუსთავი, ვალე</p> <p>ბერთა</p> <p>ჯანდარი 1</p> <p>კრწანისი</p> <p>ჯანდარი 2</p>
<p>კულტურული მემკვიდრეობა მძიმე ტექნიკის გამოყენების შედეგად გამოქვეყნებული ზემოქმედება ბერთას მონასტრის მახლობლად</p>	<p>BP-ს მიმართეს თხოვნით, რომ მძიმე ტექნიკა არ იქნას გამოყენებული ადგილობრივი მონასტრის სიახლოვეს.</p>	<p>ბერთა</p>
<p>ინფორმაციის გავრცელება და დანტერესებულ მხარეთა</p>	<p>წამოიჭრა კითხვები მილსადენის ზუსტი მარშრუტის შესახებ. რუსთავის მცხოვრებებს სურთ მიიღონ მილსადენის მარშრუტის დეტალური რუკა.</p>	<p>ციზილქილისა, ნარდევანი, რუსთავი</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

<p>ჩართვა <i>PAC-ებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მილსადენის მარ-შრუტის და მუშათა ბანაკების მდებარეობის შესახებ</i></p> <p><i>პირდაპირი საკომუნიკაციო კავშირის საჭიროება PAC-ებს და BP-ს შორის</i></p> <p><i>სასურველია მეტი ინფორმაცია SCPX ძირითადი საპროექტო მახასიათებლების შესახებ (მაგალითად, მილსადენის დერეფნის სიგანე, დაწყების თარიღები, სამუშაოთა ხანგრძლივობა კონკრეტულ ადგილებში და ა.შ.)</i></p>	წამოიჭრა შეკითხვა მშენებლობის დაწყების თარიღისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ.	პობედა, თბილწყარო
	ადგილობრივ მოსახლეობას სურს იცოდეს მუშათა ბანაკის ზუსტი მდებარეობა.	პობედა, თბილწყარო, კრწანისი
	მოთხოვნილია მეტი ინფორმაცია პროექტის ხანგრძლივობის, ჩასატარებელი სამუშაოების ტიპის და ასევე იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ეს სოფელზე.	ჯანდარი 1
	გამოითქვა წუხილი სამუშაოზე მიღების პროცესზე არასაკმარისი ინფორმაციის მიღების შესახებ, რის გამოც ვერ მოხდა მოსახლეობის დაქირავება.	ქესალო, ნაზარლო
	ადგილობრივ მცხოვრებებს სურთ იცოდნენ მილსადენის დერეფნის სიგანე/სიგრძე.	ხაიში
	შემოთავაზებული იქნა BP-ის მიერ თითოეული სოფლიდან ადგილობრივი მცხოვრების დაქირავება, რომელიც უზრუნველყოფს BP-ს და ამ სოფელს შორის საკომუნიკაციო კავშირს, რათა ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იყოს BP-ს გეგმების შესახებ და ა.შ.	კრწანისი
	ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებს, წინასწარ შეთანხმებული არის თუ არა (სამშენებლო) სამუშაოები ადგილობრივ ხელისუფლებასთან.	ლემშენიერა
	ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ მნიშვნელოვანია განხილვების მოწყობა BP-სა და მთელ სოფელს შორის და არა სოფლის ცალკეულ წარმომადგენლებთან, რამდენადაც ეს უკანასკნელნი შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებული პროექტით ან მათზე შესაძლოა პროექტი არ ახდენდეს ზემოქმედებას.	ახალი სამგორი
	ადგილობრივ მოსახლეობას სურს წინასწარ შეიტყოს მშენებლობასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვების შესახებ (მაგალითად, მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით).	ალთაქლა, ქარათაქლა
წამოიჭრა კითხვა, რამდენად საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა (საზოგადოების) საინვესტიციო პროექტებში.	არალი	
<p>¹ მილსადენის ბანაკის ახალი ადგილის და CSG2 მისასვლელი გზის ბანაკის ადგილის ახლოს მდებარე PAC-ებთან ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხები აღნიშნულია დასახლების დასახელებით (დასახელება მოცემულია დახრილი შრიფტით). ე საკითხები განხილული იქნა ისევე, როგორც ადრე ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების დროს.</p>		


PAC-ების შინამეურნეობათა კვლევა

შინამეურნეობათა კვლევის შედეგები მოყვანილია ქვემოთ PAC ჯგუფების მიხედვით (იხ. ზემოთ მოცემული ქვეთავი 9.5.3).


პარალელური მილსადენი

ქვემოთ მოცემული შედეგები ეყრდნობა შემდეგ PAC-ებში ჩატარებულ გამოკითხვებს: ახალი სამგორი, გამარჯვება 1, რუსთავი, ალთაქლა, ყარათაქლა, კრწანისი, მარნეული და ჯანდარი 2.

რესპონდენტების დიდ ნაწილს (დაახლოებით 58%) ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი დაუჭიროს თუ არა მხარი მილსადენისა და საკომპრესო სადგურის მშენებლობას. დაახლოებით 37% ეთანხმება, ხოლო 5% უარს ამბობს მშენებლობის მხარდაჭერაზე. შესაძლო სარგებელთან დაკავშირებით რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები (43%) ვერ ხედავს რაიმე კონკრეტულ სარგებელს. მათ შორის, ვინც თვლის რომ პროექტი სარგებლის მომტანია, უმრავლესობა (45%) ამ სარგებელს დასაქმების შესაძლებლობაში ხედავს (იხ. სურათი 9-2 და სურათი 9-3).




სურათი 9-2: პარალელური მილსადენი - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა



სურათი 9-3: პარალელური მილსადენი - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებელის შესახებ

უსაფრთხოება წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას, გამომდინარე დაბინძურების ხარისხის და გარემოსთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხების გამო. ზოგიერთი რესპონდენტის მიერ ასევე აღინიშნა გზების დაზიანება (იხ. სურათი 9-4).




სურათი 9-4: პარალელური მილსადენი - PAC-ების ძირითადი პრობლემები


CSG1 და CSG2

ქვემოთ მოცემული შედეგები ეყრდნობა შემდეგ PAC-ებში ჩატარებულ გამოკითხვებს: ვახტანგისი, ნაზარლო, ქესალო, ჯანდარი 1, მზინეთი, ლემშენიერა, გარდაბანი, პოზედა, ავრანლო, რეხა, ხანდო, ყიზილქილისა, ოზნი, ბურნაშეთი და ბერთა.

მოსახლეობის დიდ ნაწილს (დაახლოებით 64%) ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი დაუჭიროს თუ არა მხარი საკომპრესორო სადგურის მშენებლობას. თითქმის მესამედი (32%) ეთანხმება, ხოლო 4% არ ეთანხმება მშენებლობას. შესაძლო სარგებელთან დაკავშირებით რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55%) ვერ ხედავს რაიმე კონკრეტულ სარგებელს. მათ შორის, ვინც თვლის რომ პროექტი სარგებლის მომტანია, უმრავლესობა (37%) ამ სარგებელს დასაქმების შესაძლებლობაში ხედავს (იხ. სურათი 9-5 და სურათი 9-6).




სურათი 9-5: CSG1 და CSG2 - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა (საკომპრესორო სადგური)




სურათი 9-6: CSG1 და CSG2 - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებლის შესახებ (საკომპრესორო სადგური)

იმ PAC-ებისგან განსხვავებით, სადაც უნდა მოხდეს პარალელური მილსადენის გაყვანა, ამ PAC-ების მთავარი პრობლემებია დაბინძურება (განსაკუთრებით ხმაური) და გარემოსთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. პრობლემების ჩამონათვალში შემდეგი ადგილი უჭირავს გზების დაზიანებას და ტრანსპორტის მოძრაობას (თითქმის 15%). უსაფრთხოებაზე ყურადღებას მხოლოდ რესპონდენტთა დაახლოებით 10% ამახვილებს (იხ. სურათი 9-7).



სურათი 9-7: CSG1 და CSG2 - PAC-ების ძირითადი პრობლემები (საკომპრესორო სადგური)

სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ რესპონდენტთა ნახევარმა არ იცის იქნება თუ არა ეს რაიმე სარგებლის მომტანი. რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები (დაახლოებით 37%) თვლის, რომ სამშენებლო ბანაკი არაფერს შეცვლის. გამოკითხულთა დაახლოებით 10% თვლის, რომ ბანაკის მშენებლობა არის „კარგი“, ხოლო 3% - რომ ბანაკის მშენებლობა არის „ცუდი“ ადგილობრივი ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტებისთვის (იხ. სურათი 9-8).



სურათი 9-8: CSG1 და CSG2 - PAC-ების მოსაზრება სამშენებლო ბანაკის შესახებ

რესპონდენტების მიერ აღნიშნული უმთავრესი დადებითი და უარყოფითი ასპექტები ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-7). ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები საკუთარი პროდუქციის გაყიდვის თვალსაზრისით დასახელდა როგორც უმთავრესი დადებითი ასპექტი; ხოლო უმთავრეს უარყოფით ასპექტად მიჩნეული იქნა სოფლებში უცხო ადამიანების გამოჩენა.


ცხრილი 9-7: CSG1 და CSG2 ზანაკის მშენებლობა - დადებითი და უარყოფითი ასპექტები მოსახლეობის თვალსაზრისით

დადებითი ასპექტები (მათი მნიშვნელობის მიხედვით)	უარყოფითი ასპექტები (მათი მნიშვნელობის მიხედვით)
პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობა დასაქმების შესაძლებლობა შემოსავლის ზრდა	სოფელში უცხო ადამიანების ყოფნით გამოწვეული დისკომფორტი ხმაური, ალკოჰოლის მოხმარება ხმაური და გზებზე ტრანსპორტის მოძრაობა შესაძლო დანაშაული/ქურდობა


PRMS

ქვემოთ მოცემული შედეგები ეყრდნობა შემდეგ PAC-ებში ჩატარებულ გამოკითხვებს: ვალე, არალი, წარბასთუმანი, უდე, წინუბანი, ნაოხრები, ჯულა და აბათხევი.

რესპონდენტების თითქმის 75%-ს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი დაუჭიროს თუ არა მხარი გამზომი სადგურის მშენებლობას. რესპონდენტების დაახლოებით 25% ეთანხმება, ხოლო 2% არ ეთანხმება მშენებლობას. შესაძლო სარგებელთან დაკავშირებით რესპონდენტთა დაახლოებით 60% ვერ ხედავს რაიმე კონკრეტულ სარგებელს. მათ შორის, ვინც თვლის რომ პროექტი სარგებლის მომტანია, უმრავლესობა (32%) ამ სარგებელს დასაქმების შესაძლებლობაში ხედავს (იხ. სურათი 9-9 და სურათი 9-10).




სურათი 9-9: PRMS - PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური)




სურათი 9-10: PRMS - PAC-ების მოსაზრება ძირითადი სარგებლის შესახებ (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური)

ძირითად პრობლემებს წარმოადგენს დაბინძურება (განსაკუთრებით ხმაური) და გარემოსთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. პრობლემების ჩამონათვალში შემდეგია უსაფრთხოება. გზების დაზიანება და საგზაო მოძრაობის გაზრდა პრობლემის სახით დაასახელა რესპონდენტთა 5%-ზე ნაკლებმა (იხ. სურათი 9-11).



სურათი 9-11: PRMS – PAC-ების ძირითადი პრობლემები (წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური)

სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა არ იცის იქნება თუ არა ეს რაიმე სარგებლის მომტანი. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (დაახლოებით 32%) თვლის, რომ სამშენებლო ბანაკი არაფერს შეცვლის. გამოკითხულთა დაახლოებით 11% თვლის, რომ ბანაკის მშენებლობა არის „კარგი“, ხოლო 2% - რომ ბანაკის მშენებლობა არის „ცუდი“ ადგილობრივი ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტებისთვის (იხ. სურათი 9-12).



სურათი 9-12: PRMS - PAC-ების ძირითადი პრობლემები (სამშენებლო ბანაკი)

რესპონდენტების მიერ აღნიშნული უმთავრესი დადებითი და უარყოფითი ასპექტები ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-8). ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები საკუთარი პროდუქციის გაყიდვის თვალსაზრისით დასახელდა როგორც უმთავრესი დადებითი ასპექტი; ხოლო უმთავრეს უარყოფით ასპექტად მიჩნეული იქნა მუშების მიერ ალკოჰოლის მოხმარება.

ცხრილი 9-8: PRMS სამშენებლო ბანაკი - დადებითი და უარყოფითი ასპექტები

დადებითი ასპექტები (მათი მნიშვნელობის მიხედვით)	უარყოფითი ასპექტები (მათი მნიშვნელობის მიხედვით)
პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობა და დასაქმების შესაძლებლობა	ხმაური, ალკოჰოლის მოხმარება

9.6.3 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები/სამეცნიერო საზოგადოება

NGO/სამეცნიერო საზოგადოების სემინარზე წამოჭრილი ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-9).

ცხრილი 9-9: NGO/სამეცნიერო საზოგადოების სემინარზე წამოჭრილი, ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების ჩამონათვალი

დაინტერესებული მხარეები	პრობლემები/ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები
საქართველოს ბუნების შემსწავლელი საზოგადოება "ორქისი"	მოთხოვნილი იქნა დადასტურება, რომ პროექტის და ESIA-თვის გამოყენებული იქნება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკა (2008) ასევე, მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია, თუ გაეროს რომელი გარემოსდაცვითი პროგრამის რეკომენდაციები იქნება გამოყენებული პროექტისა და ESIA-თვის

ამ და სხვა საკონსულტაციო შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხები ESIA-ს მომზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული.

ESIA პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება მიექცა საკონსულტაციო შეხვედრებზე დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილ საკითხებს. SCPX პროექტის ძირითადი დიზაინი და განლაგების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იქნა ამ საკითხების გათვალისწინებით. სადაც ეს იყო შესაძლებელი, უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, პრევენციის და/ან შემცირების მიზნით პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები იმგვარად, რომ მისი ექსპლუატაცია ყოფილიყო უსაფრთხო და ეფექტური. მაგალითად, მილსადენს ექნება უფრო სქელი კედელი დასახლებული პუნქტების სიახლოვეს, რაც შეამცირებს პოტენციურ საფრთხეს.

გარდა ამისა, შემუშავებული იქნა გარკვეული ზემოქმედების შემარბილებელი ვალდებულებები, რომლებიც შეტანილია ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სხვადასხვა გეგმაში, ანალოგიური მიზნების მისაღწევად. დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების ვალდებულების მაგალითებია:

- მიწის აღება და საარსებო წყაროები: მიწის აღების და კომპენსაციის შესახებ ჩარჩო დოკუმენტი (სადაც მოცემულია საარსებო წყაროს შენარჩუნების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები) და მისი თანმხლები სახელმძღვანელო მიწის აღების და კომპენსაციის შესახებ მომზადდება და წარედგინება მათ, ვისზეც სავარაუდოდ მოახდენს ზემოქმედებას მიწის აღება. ასევე დაცული იქნება ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორცაა ჭაობები, რომლებიც გამოიყენება შინაური საქონლის წყალმომარაგებისათვის, ან, თუ ეს არ არის შესაძლებელი, მოხდება ალტერნატიული წყაროს შემოთავაზება; და შენარჩუნებული იქნება სამოვრების ხელმისაწვდომობა ან შეზღუდვა მოხდება მინიმალურად. და ბოლოს, განხორციელდება ვალდებულებები ფუტკრებისა და თავლის წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად
- ინფრასტრუქტურის დაზიანება: არსებობს მრავალი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ზიანის თავიდან აცილებას და ზიანის მიყენების შემთხვევაში, შეკეთებას
- დასაქმების შესაძლებლობები: იგულისხმება, რომ დასაქმებისას უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი უნარების მქონე ადგილობრივ მოსახლეობას. ადგილობრივი დასაქმებისათვის განისაზღვრება სამიზნე რაოდენობები და განხორციელდება რეგულარული მონიტორინგი ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად
- დაბინძურება: ნაკისრი იქნება ვალდებულებები მტვრის ადვერსის და ხმაურის მისაღებ დონემდე შემცირებისთვის. მოხდება ჰაერის დამაბინძურებლების მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვალდებულებები იქნა შესრულებული და შესაბამისი მიზნები მიღწეული.

9.7 კონსულტაციები ESIA-ს ანგარიშის პროექტის შესახებ

საჯარო კონსულტაციები ჩატარდა ქვეთავში 9.3 აღწერილი HGA-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ESIA-ს ანგარიშის პროექტი (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები) გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. არატექნიკური რეზიუმე ასევე გამოიცა რუსულ ენაზე. გარდა ამისა, დასახლებებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცელი, რომელშიც შეჯამებულია ESIA პროცესი და შედეგები მომზადდა ქართულ და რუსულ ენებზე. PAC-ებში გავრცელდა საინფორმაციო ფურცლის ათი ათასი ეგზემპლარი.

9.7.1 ინფორმაციის გავრცელება

ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისა და შემდგომი კონსულტაციების ჩასატარებლად BP-მ უზრუნველყო, რომ:

- ESIA-ს ანგარიშის პროექტი არის გასაგები და ნათლად წარმოადგენს SCPX პროექტის დადებით და უარყოფით ზემოქმედებებს
- ESIA-ს ანგარიშის პროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო ქართულ და ინგლისურ ენებზე (და არატექნიკური რეზიუმე რუსულ ენაზე)
- არატექნიკური რეზიუმე და უკუკავშირის უზრუნველყოფი მექანიზმი (რათა შესაძლებელი იყოს BP-თვის კომენტარების მიწოდება) თავისუფლად გავრცელდა PAC-ებში
- დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღეს ინფორმაცია ESIA-ს ანგარიშის პროექტის გამოქვეყნების და ანგარიშის ასლის ხელმისაწვდომობის და არატექნიკური რეზიუმეს ასლების მიღების შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს შემოთავაზებების განხილვის და პასუხის მომზადებისთვის მიეცათ საკმარისი დრო, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით.

საჯარო განხილვების დაწყებამდე, ინფორმაცია ESIA პროცესის, ESIA-ს ანგარიშის პროექტის (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების) ხელმისაწვდომობის და კონსულტაციის პროცესის შესახებ გამოქვეყნდა შემდეგი საინფორმაციო საშუალებებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით:

- რეგიონული და ეროვნული ადგილობრივ გაზეთები, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ისეთ გაზეთებზე, რომელთა გამოცემა ფოკუსირებულია იმ მუნიციპალიტეტებზე/ქალაქებზე, სადაც შემოთავაზებულია SCPX პროექტის განხორციელება
- SCPX-ის ელექტრონული ფოსტის მონაცემთა ბაზა
- დასახლებული პუნქტების განცხადებათა დაფები
- საპროექტო საქმიანობის ძირითად ცენტრებთან ახლოს შერჩეულ ადგილებში ინფორმაციის გავრცელება
- პროკლამაციები, ბროშურები და პოსტერები.

პრესით გავრცელდა შეტყობინებები შემდეგ ინფორმაციით:

- მშენებლობის დასახელება, ადგილი და მიზნები
- მისამართი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ/გაეცნონ ESIA-ს ანგარიშის პროექტს და მასთან დაკავშირებულ მასალებს, ასევე დასახელება და მისამართი იმ ორგანიზაციისა, სადაც უნდა გაიგზავნოს წერილობითი კომენტარები
- კომენტარების წარდგენის საბოლოო ვადა
- საჯარო შეხვედრის დრო და ადგილი.

ESIA-ს ანგარიშის პროექტი (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები) ხელმისაწვდომი იყო გარკვეულ საკვანძო საჯარო ადგილებში, რათა დაინტერესებული მხარეები გაცნობოდნენ მას და წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები. ასეთი ადგილები მოიცავდა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებს, ოფისებს, საჯარო ბიბლიოთეკებს საკვანძო ადგილებში (ნაწილობრივ შერჩეული ისე, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს PAC-ებისთვის), ძირითად საგანმანათლებლო ინსტიტუტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ESIA კონსულტაციების პროცესში. ამდენად, ESIA-ს ანგარიშის პროექტი, სულ მცირე, ხელმისაწვდომი იყო შემდეგ ადგილებში:

- GOGC-ის ოფისი

- თბილისის საპარლამენტო ბიბლიოთეკა
- SCPX-ის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ორი რეგიონის გუბერნატორთა ოფისები
- რუსთავის მერის ოფისი
- გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტების გამგეობები
- რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკა
- შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისები (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, CENN; კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, REC; ორჰუსის ცენტრი).

არა-ტექნიკური რეზიუმეს ასლები ხელმისაწვდომი იყო თითოეული ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ოფისში და/ან სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და ასევე რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრო რაიონების რწმუნებულის ოფისში. დასახლებებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცელი გავრცელდა მუნიციპალიტეტებისა და ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში, ძირითადად PAC-ების საჯარო ადგილებში (მაგ.: სკოლები, მაღაზიები, ჩაიხანა და სხვ.).

ბოლოს, ESIA-ს ანგარიშის პროექტი და არა-ტექნიკური რეზიუმე გამოქვეყნდა BP კასპიის ზღვის (ინგლისური ვერსია) და BP საქართველოს ვებ-გვერდებზე.

9.7.2 საჯარო განხილვის გამოცხადება

საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო 2012 წლის 29 მაისს ნაციონალური, რეგიონული და მუნიციპალური დონის მედიაში განთავსებული განცხადებით (იხ. ცხრილი 9-10), რომელშიც აღნიშნული იყო საჯარო განხილვის პერიოდი (60 დღე); ადგილები, სადაც ხელმისაწვდომი იყო ESIA დოკუმენტები; ძირითადი საჯარო შეხვედრის თარიღი; და გამოხმაურების მიღების მექანიზმი (იხ. დანართი C1).

ცხრილი 9-10: ESIA საჯარო განხილვის განცხადებები

გაზეთის დასახელება	განცხადების ენა	დაფარვა
რეზონანსი	ქართული; რუსული	ქვეყნის მასშტაბით
რეზონანსი	ქართული	ქვეყნის მასშტაბით
24 საათი	ქართული	ქვეყნის მასშტაბით
რუსთავის ახალი ამბები	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
რუსთავის ახალი ამბები	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
რუსთავი	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
სამხრეთის კარიბჭე	ქართული;	რეგიონული მასშტაბით - სამცხე ჯავახეთი
თრიალეთის ექსპრესი	ქართული; რუსული	რეგიონული მასშტაბით - ქვემო ქართლი

რეგიონული ადმინისტრაციის მოთხოვნით განცხადება ქართულ და რუსულ ენაზე ასევე გამოქვეყნდა ქვემო ქართლის რეგიონულ ვებსაიტზე, www.kvemokartli.info.

გარდა ამისა, განცხადებები გავრცელდა ESIA და NTS დოკუმენტებთან ერთად.

9.7.3 გამოხმაურების მექანიზმი

ESIA ანგარიშის პროექტზე გამოხმაურების მოსაწოდებლად დაინტერესებული მხარეებისთვის არსებობდა შემდეგი მექანიზმები:

- გამოხმაურების ფორმები (ქართულ და რუსულ ენებზე) გავრცელდა ESIA-ის და NTS-ის ყველა ასლთან ერთად და ხელმისაწვდომი იყო ყველა PAC-ში. გამოხმაურების ფორმის დაბრუნება შესაძლებელია BP-ის ოფისში ფოსტით გამოგზავნით; ასევე შესაძლებელია შევსებული ფორმის გადაცემა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისთვის, რომლებიც საჯარო განხილვის პერიოდში ხშირად სტუმრობენ PAC-ებს
- ESIA ანგარიშში, NTS-სა და საინფორმაციო ფურცელზე მითითებული იყო BP-ის საქართველოს ფილიალის ტელეფონის ნომერი
- ESIA ანგარიშში, NTS-სა და საინფორმაციო ფურცელზე ასევე მითითებული იყო ელექტრონული ფოსტის მისამართი
- გამოხმაურების ფორმების ელექტრონული ვარიანტი განთავსდა BP კასპიის ზღვის ვებსაიტზე (ინგლისურად) და BP საქართველოს ვებსაიტზე (ინგლისურად და ქართულად). შესაძლებელია ფორმის ელექტრონულად შევსება და ელექტრონული ფოსტით გამოგზავნა.
- ჩატარდა ოთხი საჯარო შეხვედრა, სადაც შესაძლებელი იყო დაინტერესებული პირების დასწრება და ESIA ანგარიშთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა პრიდაპირ ESIA ჯგუფისთვის.

9.7.4 კონსულტაციები საჯარო განხილვის პროცესში - საჯარო შეხვედრები

ეს კონსულტაციები, პირველ რიგში, დამყარებული იყო საჯარო შეხვედრების შემდგომ სერიებზე, რომლებიც BP-იმ ჩაატარა თბილისში და პროექტის განხორციელების სხვა მნიშვნელოვანი ადგილების მახლობლად, კერძოდ, რუსთავეში, წალკასა (სურათი 9-13) და ახალციხეში.



სურათი 9-13: ESIA საჯარო განხილვის შეხვედრა (წალკა)

შეხვედრის თარიღები და დრო მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-11).

ცხრილი 9-11: ESIA საჯარო განხილვის შეხვედრები

შეხვედრის ადგილმდებარეობა	ადგილი	თარიღი	დრო
თბილისი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	19 ივლისი	1100
რუსთავი	დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი	20 ივლისი	1100
წალკა	მუნიციპალური გამგეობის ოფისები	23 ივლისი	1200
ახალციხე	მუნიციპალური გამგეობის ოფისები	25 ივლისი	1100

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეს შეხვედრები ჩატარდა მედიით გავრცელებული შეტყობინების თარიღიდან 50-ე და მე-60 დღეებს შორის. ამ შეხვედრების დრო შეირჩეა იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს საზოგადოების დასწრებას.

თითოეული შეხვედრის თარიღიდან ხუთ დღეში BP-იმ მოამზადა შეხვედრაზე გამოთქმული წერილობითი და ზეპირი კომენტარების რეზიუმე. BP-მ გაითვალისწინა ეს კომენტარები, სხვა საკონსულტაციო მექანიზმების მეშვეობით მიღებულ კომენტარებთან ერთად, ESIA-ს ანგარიშის საბოლოო ვარიანტის მომზადებისას.

კონსულტაციის შედეგები და პასუხები მოცემულია დანართში C2.

9.8 კონსულტაციების შედეგების მეთვალყურეობა

დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების შედეგთა ჩაწერა და მათი სტრუქტურირებული „შენახვა“ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კონსულტაციის შედეგები ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, ვინც ჩართულია ESIA-ს პროცესში.

შეიქმნა დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზა, რომელიც განთავსდა ცენტრალურ სერვერზე. შემუშავებული იქნა მონაცემების შეტანის პროტოკოლი, რომელიც მოიცავს ESIA-ის და პროექტის ჯგუფის ძირითადი წევრებისთვის ინფორმაციის შეტანაზე და არსებული ინფორმაციის შეცვლაზე ნებართვის მინიჭებას.

9.9 ESIA-ს შემდგომი კონსულტაციები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

გარკვეული კონსულტაციების მსვლელობისას, აღნიშნული იქნა პრინციპების შემუშავების საჭიროება, რომლებიც გამოყენებული იქნება ESIA-ს ანგარიშის შემდგომი ფაზის კონსულტაციების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, იმის დაშვებით, რომ SCPX პროექტი დამტკიცებულია. დაინტერესებული მხარეების შემოთავაზებები გამოყენებული იქნება როგორც საფუძველი ESIA-ს შემდგომი საჯარო განხილვების და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით PAC-ებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან კონსულტაციების სტრუქტურის შესახებ რეკომენდაციების ფორმულირებისთვის. კონსულტაციები დაფუძნებული იქნება არსებულ და წარსულში გამოყენებულ საკონსულტაციო მექანიზმებზე, რომლებიც დაინტერესებული მხარეებისთვის, ბევრი PAC-ის ჩათვლით, უკვე კარგად ნაცნობია.